



WIZZ AIR HUNGARY LIMITED

მგზავრთა და ბარგის ტრანსპორტირების ზოგადი
პირობები

ძალშია 2023 წლის 1 მარტიდან

ტრანსპორტირების ძირითადი პირობები

1. შესავალი

1.1. როდესაც ჩვენი ავიარეისის ბილეთს ყიდულობთ, ჩვენთან დაბოლოებული ტრანსპორტირების ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ექვემდებარება (1) თქვენს ბილეთში / მგზავრობის გეგმასა და ქვითარში მოცემულ პირობებს; (2) ნებისმიერ მოქმედ ტარიფს; (3) ტრანსპორტირების სამართლებრივ წესებსა თუ პირობებს; და (4) ნებისმიერ სხვა რეგულაციას, რომელიც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, გვქონდეს.

1.2. ეს არის ტრანსპორტირების სამართლებრივი წესები და პირობები („წესები“ ან „ტრანსპორტირების ზოგადი სამართლებრივი პირობები“), რომლებიც ვრცელდება ჯავშანზე, რომელსაც აფორმებთ Wizz Air Hungary Limited-თან, შეზღუდულ პასუხისმგებლობის კომპანიასთან, რომელიც რეგისტრირებულია უნგრეთში კომპანიის სარეგისტრაციო ნომრით Cg.01-10-140174 და მისი რეგისტრირებული მისამართია Laurus Offices, Kőér street 2/A, Building B, H-1103, Budapest, Hungary.

ეს წესები გათვალისწინებულია ისე, როგორც ამ დოკუმენტში სრულად განსაზღვრის შემთხვევაში, და ისინიც ვრცელდება თქვენს ჯავშანზე:

- 1.2.1. ჩვენი ვებსაიტის გამოყენების წესები, თუ იყენებთ ჩვენს ვებსაიტს ან აპს; და
- 1.2.2. ჯავშნის ნებისმიერი დასტური და მასში გაწერილი კონკრეტული პირობები.

Wizz Air-ის ავიარეისის და ჯავშნამდე ყურადღებით წაიკითხეთ ეს წესები და დაარწმუნდით, რომ თქვენთვის გასაგებია. ჩვენ ვაახლებთ წესებსა და პირობებს დროდადრო, შესაბამისად, ისინი უნდა წაიკითხოთ და გაიგოთ თითოეული ავიარეისის და ჯავშნამდე, რადგან ტრანსპორტირების ხელშეკრულება იდება სრულთანხის გადახდისა და ჩვენ მიერ მარშრუტის განსაზღვრისთანავე.

1.3. ამ დოკუმენტში ცალკეულ ფრაზებსა და სიტყვებს აქვს კონკრეტული მნიშვნელობები, რომლებიც შეიძლება იყოს

უნიკალური ამ დოკუმენტისთვის და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა ავიაკომპანიებისგან. ამ წესებში ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა განსაზღვრული ტერმინებია ქვემოთ, მე-2 პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.

1.4. ამ წესებში „Wizz Air“ ან „ჩვენ“, „ჩვენი“, „ჩვენმა“, „ჩვენს“, „ჩვენით“ ან „ჩვენად“ გულისხმობს Wizz Air Hungary Limited-ს, ხოლო „თქვენ“, „თქვენი“, „თქვენმა“ ან „თქვენს“ გგულისხმობთ თქვენ, როგორც მგზავრს ან ჯავშნის გამფორმებელს ჯავშანში.

2. გარკვეული სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა ამ წესებში / განმარტებები

თანმხლები ზრდასრული: ზრდასრული მგზავრი, მინიმუმ 16 წლის პირი, რომელიც ჯავშანში მითითებულია ახალშობილთან ან ბავშვთან ერთად და თანახმად მას თვითმფრინავში.

დამატებითი სერვისები: ნებისმიერი პროდუქტი და სერვისი, რომელიც შეიძინეთ საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით და რომელსაც უზრუნველყოფთ, გთავაზობთ ან ვყიდით ჩვენ ან მესამე მხარის პროვაიდერი (მაგ., თუმცა ამითარ შემოიფარგლება, ავტომობილს დაქირავება ან სასტუმროში დაბინავება). ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი სერვისები შეიძლება წარმოადგენდეს პაკეტს.

ცესიის ადმინისტრაციული მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ თითოეულ რეისსა და მგზავრზე, თქვენი მოთხოვნის 18.4.2 ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების დროს ვებსაიტზე მითითებული ოდენობით.

აპი: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის დასადაც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.

მოქმედი კანონმდებლობა: ყველ კანონი, წესდება, რეგულაცია, ქვეკანონური აქტი, ქცევის სავალდებულო კოდექსი და სავალდებულო მითითებები, მათ შორის კონვენცია, რეგულაცია 2027/97 და მთავრობის დადგენილება, რომელიც ვრცელდება

ჯავშანზე, თქვენს მოგზაურობასა და ნებისმიერ სხვა სერვისზე, რომელსაც გაწვდით ამ წესების ფარგლებში.

ბარგი: იგულისხმება თქვენი საკუთრება, რომელიც თან გაქვთ მგზავრობისას რეგისტრირებულ ბარგის, არარეგისტრირებულ ბარგის, ბორტზე დამატებითი ბარგის ან პირადი საკუთრების სახით (იმ ნივთების გარდა, რომელთა ტრანსპორტირებაც იკრძალება ამ წესებით).

ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღი: დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მხოლოდ თქვენი რეგისტრირებულ ბარგის იდენტიფიკაციის მიზნით და განთავსებულია თქვენს რეგისტრირებულ ბარგზე.

ბარგის მოთხოვნის იარაღი: დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მხოლოდ თქვენი რეგისტრირებულ ბარგის იდენტიფიკაციის მიზნით და მიმაგრებულია თქვენს ჩასხდომის ბარათზე.

ჯავშნის გამფორმებელი: ნიშნავს თანხმობის ასაკს მიღწეულ სრულ სამართალუნარიანობის მქონე ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს მგზავრის აგენტის სახელთ და ჯავშანს აფორმებს თავის სახელზე და თავისი სახელთ ან /და სხვა მგზავრების სახელზე და სახელთ. ჯავშნის გამფორმებელი შეიძლება იყოს, აგრეთვე, ნებისმიერი პირი ან კომპანია, რომელიც ჩვენთან იხდის მგზავრისა და ტურისტულ სააგენტოების გეგმაში მითითებულ მთლიან ღირებულებას.

ჯავშანი: ჯავშანი ერთი ან მეტი Wizz Air ავიარეისისთვის (ნებისმიერი დამატებითი სერვისით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დადსტურებულია ჩვენ მიერ.

ჩასხდომის ბარათი: დოკუმენტი, რომელიც (i) გაცემულია სარეგისტრაციო დახლთან თქვენი ჯავშნის კოდის ან მგზავრობის გეგმის და მოქმედი სამგზავრო დოკუმენტების საფუძველზე; ან (ii) ამობეჭდილია თუ ჩამოტვირთულია თქვენ მიერ, ან ნაჩვენებია თქვენს მობილურ მოწყობილობაზე, თუ აპით სარგებლობთ (Passbook ან მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა აპლიკაცია), რეისზე რეგისტრაციის პროცედურის ონლაინ ან მობილურით გავლს შემდეგ, და რომელიც თვითმფრინავში ჩაჯდომის ნებას გრთავთ.

ხელბარგი: თქვენი ბარგი, გარდა წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით განმარტებულ რეგისტრირებულ ბარგისა, რომელს საფასურიც შედის ღირებულბაში და რომელიც რჩება თქვენი მეტაფიზურების ქვეშ მთელი მგზავრობის მანძილზე.

საინფორმაციო ცენტრი: მომხმარებელთა სატელეფონო მომსახურება, რომელს მოქმედი ტელეფონის ნომრებიც ხელმისაწვდომია ვებსაიტზე.

ჯავშნის გაუქმების მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ჯავშნის 6.4.1 ქვეპუნქტის შესაბამისად გაუქმების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების დროს ვებსაიტზე მითითებული ოდენობით.

ჩართული შეთანხმება: ჩართული ტრანსპორტირების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად.

რეგისტრირებულ ბარგი: თქვენი ბარგი, რომელსაც ჩავიბარებთ ტრანსპორტირების მიზნით და რომელსთვისაც ჩაბარების მომენტში გავცემთ ბარგის საიდენტიფიკაციო და ბარგის მოთხოვნის იარაღებს.

რეისზე რეგისტრაციის ბოლო ვადა: დროის ლიმიტი, რომელს ფარგლებშიც უნდა დაასრულოთ რეისზე რეგისტრაციის ფორმალური პროცედურები და მიიღოთ თქვენი ჩასხდომის ბარათი.

სამოქალაქო კოდექსი: უნგრეთის 2013 წლის კანონი V სამოქალაქო კოდექსის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: უნგრეთის 2016 წლის კანონი CXXX სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესახებ.

ხელშეკრულების პირობები: პირობები, რომლებიც შედის თქვენს მგზავრობის გეგმასა და წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგად პირობებში.

ხელშეკრულება (საჰაერო ტრანსპორტირების): ხელშეკრულება საჰაერო გზით მგზავრთა და ბარგის ტრანსპორტირების შესახებ, რომელიც გაფორმებულია თქვენ და Wizz Air-ს შორის,

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, და რომლის საფუძველზეც მოვახდენთ თქვენს და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებას გამგზავრების ადგილდან დანიშნულების ადგილმდე. ხელშეკრულება წარმოდგენილია მგზავრობის გეგმითა და ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღით (თუგაცემულია).

კონვენცია: მონრეალის კონვენცია საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მონრეალში 1999 წლის 28 მაისს, მოცემული დროისთვის განხორციელებულ ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად.

ტრანსპორტირებაში მონაწილე ქვეყნები: ქვეყნები, რომლებშიც მდებარეობს გამგზავრებისა და დანიშნულების ადგილები.

ეკიპაჟი: ავტორიზებული პერსონალი, რომელიც თვითმფრინავის ბორტზე მსახურობს, მაგალითად, პილოტები, ბორტგამცილებლები, ტექნიკური და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები.

დღე (ებ): კალენდრული დღეები, მათშორის, კვირის შვიდივე დღე; ამასთან, შეტყობინების შემთხვევაში, შეტყობინების გაგზავნის დღე არ უნდა იყოს გათვალისწინებული ბოლო ვადის განსაზღვრისას.

EU: ევროკავშირი, მისი წევრი ქვეყნების ჩათვლით.

დამატებითი ბარგი ბორტზე: თქვენი ბარგი, გარდა წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით განმარტებულ რეგისტრირებულ ბარგისა და ხელბარგისა, რომელიც ექვემდებარება სერვისის მოსაკრებლს გადახდას და თანგექნება თბორტზე მთელ მგზავრობის მანძილზე.

ტარიფი: გამგზავრების ადგილდან დანიშნულების ადგილმდე საჰაერო ტრანსპორტირების ღირებულება. ტარიფი მოიცავს გადასახადებსა და საკომისიოებს (უახლოესი აეროპორტის საკომისიოები და სახელწიფო მოსაკრებლები), ხელბარგის ერთი ერთეულს საფასურს, ასევე სხვა სერვისების მოსაკრებელთა მინიმალურ ოდენობას, რომელიც აუცილებელია ჯავშნისთვის.

სხვა სერვისების მოსაკრებლები/სერვისების მოსაკრებლები: მოსაკრებლები, რომლებიც გადასახდელია საჰაერო

ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისებისთვის, რომლებიც მიითებულა ჩვენს ვებგვერდზე, გარდა ადგილს რეზერვაციის მოსაკრებლსა, ჯავშნის გაუქმების მოსაკრებლსა, WIZZ Discount Club-ის მოსაკრებლსა და დამატებითი სერვისების მოსაკრებლსა.

ტრანსპორტირების ზოგადი პირობები : დებულებები, რომლებიც ეხება Wizz Air-ის მიერ მგზავრთა და ბარგის საჰაერო გზით ტრანსპორტირებას, როგორც ეს გაწერილია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებში.

სახელმწიფო დადგენილება /დადგენილება : უნგრეთის მთავრობის დადგენილება 25/1999. (II.12.) მგზავრთა საჰაერო გზით ტრანსპორტირების წესების შესახებ, მოქმედო რედაქციით.

გეგმა: (i) დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და გაიცემა მგზავრებზე Wizz Air-ისთვის ტრანსპორტირების სრულ ღირებულების გადახდის შემდეგ ან (ii) მგზავრის მიერ ჯავშანში რაიმე ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც გაიცემა მგზავრზე Wizz Air-ის მიერ ამგვარი ცვლილებების მიღების დასტურად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი იარაღი: დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულია შეზღუდული პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ ტრანსპორტირებისთვის მიღებულ რეგისტრირებულ ბარგზე, რომელიც არის რაიმე სახით დაზიანებული, არ შეესაბამება მოთხოვნებს ზომის ან მდგომარეობის მხრივ, ან შეიცავს მყიფე ნივთებს, და გაიცემა ამგვარი ბარგის ჩაბარების მომენტში.

მცირეწლოვანი: მგზავრი, რომელიც მგზავრობის დროს არის 14 წლამდე ასაკის: ჩვილი არის ორ წლამდე ასაკის ბავშვი, რომლის ასაკიც ორ კვირაზე ნაკლები არ არის, ხოლო ბავშვი 2 წელზე მეტი და 14 წელზე ნაკლები ასაკისაა, ერთბავშვზე მეტი კი იქნება ბავშვები.

რეისზე დაგვიანების მოსაკრებელი: გულისხმობს მოსაკრებელს, რომელიც უნდა გადაიხადოს გარკვეულ შემთხვევებში, თუ დაგვიანებთ რეისზე და მოისურვებთ, გადაინაცვლოთ ჩვენ მიერ შესრულებულ სხვა რეისზე. მოსაკრებლს ოდენობა განსაზღვრულია ჩვენს ვებსაიტზე.

სხვა სერვისები: გულსხმობს ნებისმიერ პროდუქტს ან/და სერვისს, რომელიც შეიძინეთ საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით და რომელიც უზრუნველყოფილია, შემოთავაზებულია ან ცალბოთი იყიდება ჩვენ მიერ ან მესამე მხარის მიერ, საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულებასთან ან დამატებით სერვისებთან დაკავშირებულს გარდა.

პაკეტური შემოთავაზება გულსხმობს პაკეტს, პაკეტური შემოთავაზებების შესახებ და დენილების მე-2 პუნქტის 5 ნ)-ის შესაბამისად, მე-13 პუნქტის გამოკლებით, რა შემთხვევაშიც Wizz Air ითვლება პაკეტური შემოთავაზების ორგანიზატორად ან საცალო მოვაჭრედ. თუ არჩეული დამატებითი სერვისების კომბინაცია წარმოადგენს პაკეტს, Wizz Air ამის შესახებ გაცნობებთ და ჯავშნისას.

დადენილება პაკეტური შემოთავაზებების შესახებ: უნგრეთის მთავრობის დადენილება 472/2017. (XII.28) სამოგზაურო სერვისების თაობაზე გაფორმებული შეთანხმებების დაკერძოდ, პაკეტური შემოთავაზებებისა და დაკავშირებულ სამოგზაურო ღონისძიებების თაობაზე გაფორმებული შეთანხმებების წესების შესახებ.

მგზავრი: გულსხმობს Wizz Air-ის შესრულებული ან შესასრულებელი ავიარეისის ჯავშანში მითითებულ პირს ან პირებს (ეკიპაჟის წევრების გარდა).

მომრაობის შეზღუდვის ან განსაკუთრებული დახმარების საჭიროების მქონე მგზავრი (PRM): გულსხმობს ნებისმიერ მგზავრს, რომელსაც დაქვეითებული აქვს მოძრაობის უნარი ფიზიკური უუნარობის (სენსორული ან ლოკომოტორული), გონებრივი და რღვევის, ასაკის, ავადყოფობის, ან სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო და რომლის მდგომარეობაც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

პირადი საკუთრება: გულსხმობს ნივთებს, რომლებიც ჩამოვლილია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების ქვეპუნქტში 15.3.5 და რომლებიც შეგიძლიათ არარეგისტრირებულბარგთან ერთად უფასოდაიტანოთ ბორტზე.

გამგზავრების ადგილი: აეროპორტი, რომელიც მითითებულია საჰაერო ტრანსპორტირების საწყის პუნქტად მგზავრობის გეგმასა და ჩვენს მონაცემთა ბაზაში.

დანიშნულების ადგილი: აეროპორტი, რომელიც მითითებულია საჰაერო ტრანსპორტირების დანიშნულების პუნქტად მგზავრობის გეგმასა და ჩვენს მონაცემთა ბაზაში.

კონფიდენციალურობის დეზულება: ჩვენი ვებსაიტის დეზულება, რომელიც არეგულირებს თქვენს ან ჯავშნის გამფორმებლს მიერ Wizz Air-სთვის მიწოდებულ პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

სერტიფიცირებული დამხმარე ძალის განმარტება უნგრეთის დადგენილებაში SZMM 27/2009, ნორმატიული აქტის 1107/2006/EC შესაბამისად.

სერტიფიცირებული დამხმარე ძალები:

დამხმარე ძალის ბრმა და მხედველობა შეზღუდული პირებისთვის და დამხმარე ძალის მოძრაობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის და დამხმარე ძალის სმენა და კარგული პირებისთვის ეპილეფსიური შეტევების შესახებ გამაფრთხილებელი ძალის მომსახურე ძალის, რომელიც ეხმარება შშმ პირებს

რეგულაცია 261: ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს ნორმატიული აქტი (EC) № 261/2004, მოცემული დროისთვის შეტანილი ცვლილებებით და დამატებით.

ნორმატიული აქტი 2027/97: ევროსაბჭოს 1997 წლის 9 ოქტომბრის ნორმატიული აქტი (EC) № 2027/97 მგზავრებისა და ბარგის საჰაერო ტრანსპორტირების კუთხით ავიაგადამყვანის ვალდებულების შესახებ (ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წლის 13 მაისის ნორმატიული აქტის (EC) № 889/2002 რედაქციით).

განრიგი: ცალკეული რეისების ჩაფრენისა და გამგზავრების დროები, რომლებიც განსაზღვრულია Wizz Air-ის მიერ და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

SDR: სპეციალური სასესხო უფლება, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. (ამ სავალუტო ერთეულის მიმდინარე ღირებულება შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო

სავალუტო ფონდის ვებსაიტზე: www.imf.org და მსხვილი გაზეთების ფინანსურ გვერდებზე).

ადილს რეგრაციის მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ხელშეკრულების გაფორმებისას ვებსაიტზე მითითებულ ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ Wizz Air იცავს თავის უფლებას, გააუქმოს თქვენი ჯავშანი წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად; ან თუ თქვენ აუქმებთ ჯავშანს ქვეკუნქტში 6.4.2. გაწერილს შესაბამისად.

სერვისის მომწოდებელი: გულსხმობს მესამე მხარის მომწოდებელს, რომელიც გთავაზობთ, უზრუნველყოფს, ხელს უწყობს ან საცალოდ ყიდის დამატებით სერვისებს, მათ შორის, როცა ისინი უზრუნველყოფილია სხვა მესამე მხარესთან ერთად ამისი სახელით.

ტარიფები: გამოქვეყნებული ტარიფები, მოსაკრებლები და დაკავშირებული პირობები, რომლებიც, საჭიროებისამებრ, რეგისტრირებულა შესაბამის უწყებებში, მათი დეტალური კიხელისაწვდომია ვებსაიტზე როგორც ჯამურ საფასურთან, ისე ჩვენ მიერ უზრუნველყოფილი სხვადასხვა სერვისისთვის განსაზღვრულ პირობებთან და მოსაკრებლებთან დაკავშირებით; და Wizz Air-ის სხვა რეგულაციები. ჩვენი ტარიფების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებსაიტზე შემდეგი ბმულს მეშვეობით: [https://wizzair.com/en-gb/information-and-services/prices-discounts/all-services-fees#/.](https://wizzair.com/en-gb/information-and-services/prices-discounts/all-services-fees#/)

ჯამური საფასური: Wizz Air-ის მიერ თქვენთვის მოწოდებული ყველ სერვისის ფასი, რომელიც შედის საჰაერო ტრანსპორტირების ღირებულება და სხვა სერვისების მოსაკრებლები ან თქვენ მიერ ვებსაიტზე შეძენილ ნებისმიერი სხვა სერვისის მოსაკრებლები.

სამგზავრო დოკუმენტები: დოკუმენტები, რომლებსაც მოითხოვს ტრანსპორტირების მონაწილე ქვეყნები საზღვრის კვეთისთვის, ტრანზიტისთვის ან/და კონკრეტულ სახელმწიფოში გაჩერებისთვის.

დაურეგისტრირებელი ბარგი: თქვენი ბარგი, გარდა ტრანსპორტირების წინამდებარე ზოგადი პირობებით

განმარტებული რეგისტრირებული ბარგისა, რომელიც თან გექნება თბორტზე მთელ მგზავრობის მანძილზე.

ვებსაიტი: www.wizzair.com

3. მოქმედების სფერო, კანონმდებლობისა და იურისდიქციის არჩევა

3.1. ზოგადი დებულებები

3.1.1. თუ კონვენციაში ან მოქმედ კანონში სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ტრანსპორტირების ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენთან დებთ, და ტრანსპორტირების ზოგადი პირობები ექვემდებარება უნგრეთის კანონმდებლობას და მის მიხედვით განიმარტება.

3.1.2. ეს წესები გავრცელდება ნებისმიერ ავიარეისზე, რომელიც მითითებულ იქნება მგზავრობის გეგმაში, როგორც მას ასრულებს Wizz Air, როგორც გადამყვანი (მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის შემსრულებელი ავიაგადამყვანი), ასევე, ნებისმიერ ავიარეისზე, რომელსაც სხვაგვარა დასრულებს Wizz Air.

3.1.3. თუ ჩვენ მიერ ან ჩვენი მეშვეობით სერვისის სხვა მომწოდებლის მიერ უზრუნველყოფილ დამატებით სერვისებს შეიძენთ, ამ წესების გარდა, შესაბამის სერვისებზე, შესაძლოა, გავრცელდეს სხვა კონკრეტული წესები და პირობები, რა შემთხვევაშიც ჩვენთან ან სერვისის შესაბამის მომწოდებელთან ტრანსაქციის შესრულებამდე უნდა გაეცნოთ როგორც ამ წესებსა და ყველ დაკავშირებულ ინფორმაციასა თუ შეტყობინებას, ისე იმ დამატებითი სერვისებისთვის განსაზღვრულ წესებსა და პირობებს, რომლებსაც უზრუნველყოფს სერვისის შესაბამისი მომწოდებელი. წესები ნაჩვენები იქნება დაჯავშნის დროს და შესაბამისი სერვისებისთვის გაფორმებულ ჯავშნ(ებ)ის დასტურ(ებ)ში, ზოგიერთ შემთხვევაში კი ჩვენს ვებსაიტზე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს.

3.1.4. ზოგიერთ შემთხვევაში, შეძენილ დამატებითი სერვისების გამო, შესაძლოა, თქვენი ჯავშანი პაკეტურ შემოთავაზებად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ასევე გავრცელდეს პაკეტურ შემოთავაზებებთან დაკავშირებით ამ წესების

დებულებები (ასევე, სხვა კონკრეტული წესები, რომლებიც აღწერილია 23-ე ქვეპუნქტში).

3.1.5. თუ დაჯავშნის დასრულების შემდეგ შეიძენთ დამატებით სერვისებს, რომლებიც არ არის პაკეტური შემოთავაზების ნაწილი, ნებისმიერი დამატებითი სერვისისთვის ხელშეკრულება გაფორმდება თქვენ და შესაბამისი სერვისების მომწოდებლებს შორის, ხოლო ჩვენ, აღნიშნულ დამატებითი სერვისების უზრუნველყოფის ან შედეგების მხრივ, თქვენ წინაშე არავითარი ვალდებულება არ გვექნება. დამატებითი სერვისების ფასს განსაზღვრავს მხოლოდ შესაბამისი სერვისის მომწოდებელი. ჩვენი ვებსაიტის მეშვეობით ნებისმიერ შემოთავაზებაზე დათანხმებით და გადახდის განხორციელებით, ასევე, უფლებას აძლევთ Wizz Air-ს. ზოგიერთ შემთხვევაში, დამატებითი სერვისების მოსაკრებელს უხდით უშუალოდ სერვისების მომწოდებელს.

3.2. ჩართულ ტრანსპორტირება

თუ ტრანსპორტირება ხდება ჩართულ შეთანხმების შესაბამისად, ეს წესები ვრცელდება იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებულია, საცნობაროდ ან სხვა მხრივ, ჩართულ შეთანხმებაში ან ჯავშანში (იმ შესწორებებთან ერთად, რომლებიც, შესაძლოა, განსაზღვრული იყოს ჩართულბილეთში ან ჩართულრეგულაციაში, 23-ე ქვეპუნქტში).

3.3. კანონმდებლობისა და იურისდიქციის არჩევა

3.3.1. თუ კონვენციაში ან მოქმედ კანონში სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ტრანსპორტირების ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენთან დებთ, და ტრანსპორტირების ზოგადი პირობები ექვემდებარება უნგრეთის კანონმდებლობას და მის მიხედვით განიმარტება.

3.3.2. უნგრეთის სასამართლებს ექნებათ არაექსკლუზიური იურისდიქცია ნებისმიერ სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო დავაში, რომელიც წარმოქმნება ამ ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), მის შექმნასთან, მოქმედებასა და მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ :

- (i) თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მომხმარებელი რეზიდენტი ხართ, შესაძლოა, ასევე უფლება გქონდეთ, ჩაერთოთ სამართალწარმოებაში წევრი ქვეყნის სასამართლოებში; და
- (ii) კონვენციისა და ნორმატიული აქტის 2027/97 ფარგლებში დაყენებულ მოთხოვნების შემთხვევაში, შესაძლოა, უფლება გქონდეთ, ჩაერთოთ სამართალწარმოებაში ავიარების დანიშნულების ადგილს სასამართლოების წინაშე. თუმოთხოვნა უკავშირდება სიკვდილს ან ტრავმას, დამატებითი ვარიანტი მოიცავს მგზავრის საცხოვრებელ ადგილს სასამართლოებს.

4. დაჯავშნა

4.1. ჯავშნის გაფორმება

- 4.1.1. ავიარების შეიძლება დაიჯავშნოს პირდაპირ ჩვენთან ვებსაიტის, ჩვენი აპის ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ან აეროპორტში ბილეთების გაცემის ჩვენს დახლთან (თუ ხელმისაწვდომია).
- 4.1.2. ჯავშანი გაფორმებული არ იქნება დაჯავშნის დროს ჯამური საფასურის გადახდის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის აქ მითითებული. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, გაგიუქმოთ ჯავშანი, თუ სრულ დარგად იხდით ჯამურ საფასურს.
- 4.1.3. თუ არ აგირჩევიათ ცვლადი თანამგზავრის სერვისით სარგებლობა, მოგეთხოვებათ, რომ გვაცნობოთ თქვენი სრული სახელი, როგორც მითითებულია თქვენს სამგზავრო დოკუმენტში. თუ ამას არ გააკეთებთ დაჯავშნისას ან დაჯავშნიდან 2 საათის განმავლობაში ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, შესაძლოა, დაგეკისროთ სახლს შეცვლას ადმინისტრაციული მოსაკრებელი მგზავრის სახელს შეცვლასთვის, დაკისრებული ოდენობა კიდეტალურად განსაზღვრულია ვებსაიტზე, აპში ან ჩვენს საინფორმაციო ცენტრში. ცვლადი თანამგზავრის სერვისის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ჩვენი ვებსაიტი.

4.1.4. თქვენ მოგეთხოვებათ, მოგვაწოდოთ საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი /ნომრები და ელფოსტის მისამართ(ებ)ი), რომელთა მეშვეობითაც თქვენთან დაკონტაქტებაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს. თქვენი პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოთ, რომ მოწოდებულ საკონტაქტო ინფორმაცია არის და რჩება ზუსტი, ასევე, ის, რომ რეგულარულად შეამოწმებთ ელფოსტას (საფოსტო ყუთსა და არასასურველი ელწერილების საქალაქებს). ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება ზემოაღნიშნულ მოთხოვნების თქვენ მიერ შეუსრულებლობით.

4.1.5. თუ ჯავშნის გამფორმებელი არ არის მგზავრი ან ჯავშანს აფორმებს დამატებითი მგზავრებისთვის, ჯავშნის გამფორმებელი, რომელიც მოქმედებს, როგორც აგენტი, უნდა დაეთანხმოს ამ წესებს იმ მგზავრ(ებ)ისთვის და მათი სახელით, ვინც დასახელებულია ჯავშანში, ხოლო ჯავშნის გამფორმებით გვიდასტურებს და გარანტიას გვამლევს, რომ სრულ და მოქმედი უფლებამოსილება აქვს მიღებული მგზავრისგან, რომ ასე იმოქმედოს. ყველ ჯავშანი (მათი გეგმების ჩათვლით) დაექვემდებარება ამ წესებს, რომლებიც გავრცელდება როგორც ჯავშნის გამფორმებელზე, ისე მგზავრზე, რომელიც დასახელებულია ჯავშანში.

4.1.6. ამას გარდა, თუ ჯავშნის გამფორმებელი არ არის მგზავრი და ჯავშნის გამფორმებელს საკონტაქტო მონაცემები მოწოდებულია თქვენს ჯავშანში, ეთანხმებით, რომ ჯავშნის გამფორმებელი:

- (i) პასუხისმგებელი იქნება ჩვენგან ან ჩვენი სერვისის მომწოდებლისგან ჯავშანთან დაკავშირებულ მთელ კომუნიკაციის მიღებასა და ყველ მგზავრისთვის გაზიარებაზე; და
- (ii) თუ სხვაგვარი წერილობითი მითითება არ იქნება გაცემული ჯავშნის გამფორმებელს ან მგზავრის მიერ, ჩავთვლით, რომ ჯავშნის გამფორმებელს აქვს მოქმედი უფლებამოსილება შესაბამისი მგზავრისგან, რომ მიიღოს ნებისმიერი სახის კომპენსაცია, მათ შორის, ავიაბილეთების ღირებულების დაბრუნებისას ან სხვა ხარჯების ანაზღაურებისას, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ ჯავშანთან. ჩვენ არ დაგვეკისრება პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე,

რომ ჯავშნის გამფორმებელ ასეთ თანხებს გადაურიცხავს ან სხვაგვარად გადასცემს მგზავრს.

4.1.7. თუ გადაადგილების შეზღუდვის მქონე მგზავრი ხართ ან/და განსაკუთრებულ დახმარება გჭირდებათ (მათ შორის, თემცა ამით არ შემოიფარგლება, დახმარე ძალის ტრანსპორტირება), თქვენ უნდა შეგვატყობინოთ თქვენი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების ან მოძრაობის შეზღუდვის და გადაადგილების ტიპის ან სხვა დახმარე საშუალების შესახებ, რომელიც გჭირდებათ ან რომლის ტრანსპორტირებაც გსურთ, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებულ ნებისმიერი ცვლელის შესახებ, თქვენი რეისის გამგზავრების დრომდე 48 საათით ადრე, რისთვისაც უნდა დარეკოთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის სპეციალურ ტელეფონის ნომრებზე ან მოგვწეროთ სპეციალურ ელფოსტის მისამართზე. ტელეფონის ნომრისა და ელფოსტის მისამართის გასაგებად ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს.

4.1.8. თუ განსაკუთრებულ ბარგის ან პირობითი ტრანსპორტირების ნივთების გადატანა გსურთ, უნდა დაურეკოთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და გვაცნობოთ თქვენი მოთხოვნის შესახებ შესაბამისი მითითებების მიხედვით (იხ. პუნქტი 15.5). დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს.

4.2. აგენტების მეშვეობით და ჯავშნა

4.2.1. აგენტის მეშვეობით ჯავშანი უნდა გაფორმდეს WIZZ სააგენტოს ანგარიშით ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

4.2.2. საკონტრაქტო სააგენტოების შემთხვევაში, ჯავშანი გაფორმდება საკონტრაქტო სააგენტოსა და Wizz Air-ს შორის გაფორმებულ კონტრაქტში მითითებულ პირობების შესაბამისად.

4.2.3. აგენტმა ან სააგენტომ უნდა მოგვაწოდოს (1) (და თუ შეტანილია შემდგომი ცვლულები, განახლოს) სააგენტოს საკონტრაქტო მონაცემები (ელფოსტის მისამართის, საფოსტო მისამართისა და ტელეფონის ნომრის ჩათვლით); და (2) იმ ჯავშანში მითითებულ მგზავრის პირდაპირი საკონტრაქტო ტელეფონის ნომერი, რომელსაც სააგენტო სააგენტოსთვის განკუთვნილ WIZZ ანგარიშის მეშვეობით აფორმებს.

4.2.4. ყველ აგენტმა და სააგენტომ უნდა დიცვას ეს წესები და პირობები, რომლებიც გაწერილია ტრანსპორტირების ამჟამინდელ ზოგად პირობებში და ის წესები, რომლებიც განსაზღვრულია სააგენტოს WIZZ ანგარიშის წესებსა და პირობებში, ასევე, უზრუნველყოს, რომ თქვენც ერკვეოდეთ წესებში ჯავშნის და დასტურებამდე. ჯავშნის გაფორმებით აგენტი, ან შესაბამის შემთხვევაში, სააგენტო, ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ ინფორმაცია მიაწოდა მგზავრს და გადასცა ამ წესების ასლი და რომ სრულ და მოქმედი უფლებამოსილება აქვს მიღებული მგზავრისგან, რომ დაეთანხმოს ამ წესებს მგზავრისთვის და მგზავრის სახელთ და დააქვემდებაროს მათ მგზავრი.

4.3. ჯგუფისთვის და ჯავშნა

4.3.1. სტანდარტულ ჯავშანი შეგიძლიათ მაქსიმუმ 11 მგზავრისთვის გააფორმოთ ჩვენს ვებსაიტზე. 11 მგზავრზე მეტისთვის გაფორმებულ ჯავშნების შემთხვევაში უნდა დაგვიკავშირდეთ ცალკე ფორმით, რომლის შესახებაც დმატებით დეტალბის პოვნა შეგიძლიათ ჩვენს ვებსაიტზე.

4.3.2. თუ ჯგუფის ორი ან მეტი წევრი გადაადგილების შეზღუდვის მქონე მგზავრია ან/და მათ განსაკუთრებულ დახმარება სჭირდებათ (მათ შორის, თუმცა ამით არ შემოიფარგლება, დამხმარე ძაღლის ტრანსპორტირება), თქვენ უნდა შეგვატყობინოთ თქვენი შეზღუდულ ფიზიკური შესაძლებლობების ან მოძრაობის შეზღუდვის და გადაადგილების ტიპის ან სხვა დამხმარე საშუალების შესახებ, რომელც გჭირდებათ ან რომლის ტრანსპორტირებაც გსურთ, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებულ ნებისმიერი ცვლელის შესახებ, თქვენი რეისის გამგზავრების დრომდე 48 საათით ადრე, რისთვისაც უნდა დარეკოთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის სპეციალურ ტელეფონის ნომრებზე ან მოგვწეროთ სპეციალურ ელფოსტის მისამართზე. ტელეფონის ნომრისა და ელფოსტის მისამართის გასაგებად ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს.

4.4. ჯავშნის დასტური

4.4.1. ჯამური საფასურის გადახდის შემდეგ ჩვენ დაგიდასტურებთ ჯავშანს და გავცემთ გეგმას.

- 4.4.2. მგზავრობის გეგმა (ბარგის ტრანსპორტირების შემთხვევაში, ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღი) ადასტურებს საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმებას თქვენ და ჩვენ შორის და ცალკე ბილეთი აღარ გაიცემა.
- 4.4.3. ჩვენ უზრუნველყოფთ ადამიან(ებ)ის გადაყვანას (ანუ გეგმაში დასახელებულ პირ(ებ)ის, თქვენ კი, შესაძლოა, მოგეთხოვოთ შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენა)
- 4.4.4. ჯავშანში შეთანხმებულდ შეტანილ ნებისმიერი ცვლილება ახალგეგმაში შევა. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ნაწილად ჩაითვლება მგზავრობის ახლადგაცემულ გეგმა მისი გაცემის მომენტიდან.
- 4.4.5. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და მოითხოვოთ თქვენი მგზავრობის გეგმის ან თქვენი ჯავშნის კოდის ჩანაცვლება (ხელხელ გამოგზავნა). შესაძლოა, ჩვენ შევცვალოთ ადმინისტრაციული მოსაკრებელი ამ სერვისისთვის.
- 4.4.6. თუ თვლით, რომ ჯავშანი გააფორმეთ, მაგრამ გეგმა და ჯავშნის დასტური არ მიგიღიათ, და უკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს.

5. ტარიფები და გადახდა

5.1. ჩვენი ტარიფები

ტარიფები მხოლოდ კონკრეტულ ავიარეისებისთვისაა. ჩვენი ტარიფები მხოლოდ აეროპორტიდან აეროპორტამდე თქვენი საჰაერო ტრანსპორტირების ხარჯს ფარავს და არ მოიცავს სახმელეთო ტრანსპორტირებას ან სხვა დამატებით სერვისებს, თუ სხვაგვარა დარარის მიითებულ.

5.2. ჯამური საფასური

ტარიფის ოდენობა და ჯამური საფასური გამოითვლება და ჯავშნის დროს მოქმედი ოდენობების შესაბამისად, მოცემულ ტრანსპორტირებისთვის, როგორც მიითებულა ვებსაიტზე ან აპში. ტარიფსა და ჯამურ საფასურზე (მოსაკრებლების ჩათვლით, თუმცა ამით არ შემოიფარგლება) გავლენას არ მოახდენს ამ

ოფნობების შეცვლ დაჯავშნიდან მგზავრობის დაწყებამდე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეცვლთ ჯავშანს და როგორც განსაზღვრულია 4.4.4 პუნქტში).

5.3. გადასახადები და დაკისრებულ თანხები

5.3.1. თუ სხვაგვარად არ არის მითითებულ, ჩვენ ვიხდით თქვენს ჯავშანთან დაკავშირებულ ყველ გადასახადა და დაკისრებულ თანხას, რომლებიც გადასახდელია თქვენი ჯავშნის დადასტურებამდე, ანუ გეგმის გაცემამდე. ყველ ასეთი გადასახადი და დაკისრებულ თანხა არაანაზღაურებადია.

5.3.2. ჩვენს ფასებში არ შედის რომელიმე სხვა მესამე მხარის მოსაკრებლები და მათმიერ დაკისრებულ თანხები იმ ხარჯების დასაფარად, რომლებსაც ვწევთ ჩვენი სერვისების უზრუნველყოფად (მაგალითად აეროპორტისა და უსაფრთხოებისთვის გადასახდელ თანხები, ტექნიკური მომსახურების მოსაკრებლები და ა.შ.). ამ სერვისების ხარჯებს ჩვენ ვფარავთ.

5.3.3. საჰაერო მგზავრობაზე განსაზღვრული გადასახადები, მოსაკრებლები და დაკისრებულ თანხები მუდმივად იცვლება და შეიძლება ამოქმედდეს გეგმის გაცემის თარიღიდან (ანუ თქვენი ჯავშნის დადასტურების შემდეგ). ტრანსპორტირების წინამდებარე ზოგადპირობებზე თანხმობით დადასტურებთ, რომ გადაიხდით თქვენს ჯავშანთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადასახადს, დაკისრებულ თანხასა თუ მოსაკრებელს (დამატებითი სერვისებისა და ნებისმიერი სხვა სერვისის მოსაკრებლების ჩათვლთ), რომლებსაც დააწესებენ მთავრობები, სხვა უწყებები ან აეროპორტის ოპერატორები გეგმის გაცემის თარიღიდან (ანუ ჯავშნის დადასტურებიდან) თქვენი მგზავრობის დაწყებამდე, უკუქცევითი ძალთ, კონკრეტულ გარემოებების მიხედვით. თუ ამ თანხებს არ გადაიხდით, ჩვენ უფლება გვაქვს, უარი გითხრათ ტრანსპორტირებაზე, მე-13 პუნქტის შესაბამისად. თუ ტრანსპორტირების სრულ დირებულუბა მნიშვნელოვნად გაიზრდება მთავრობების, სხვა ორგანოების ან აეროპორტის ოპერატორების მიერ დაწესებულ ახალ ან გაზრდილ გადასახადების, საკომისიოების ან მოსაკრებლების გამო, თქვენ უფლება გექნებათ, გააუქმოთ ჯავშანი და დაიბრუნოთ ტრანსპორტირების სრულ დირებულუბა.

5.3.4. VAT არ ეჭრება საერთაშორისო ავიარეისებთან დაკავშირებულ ტარიფებსა და მოსაკრებლებს. ქვეყნისშიდა ფრენების შემთხვევაში თქვენს ჯავშანთან დაკავშირებულ მთელ VAT-ს ჩვენ გადავიხდით, ამიტომ თქვენგან რაიმე სახის კონკრეტულ გადახდას არ ვიღებთ.

5.4. მოსაკრებლები

5.4.1. ჩვენი მოსაკრებლები ხელისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევცვალოთ ჩვენი ტარიფები. მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულ მოსაკრებლების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

5.4.2. ჩვენი თანამშრომლები, მოსამსახურეები და აგენტები ვალდებული არიან, დაიცვან ჩვენს მოსაკრებლებთან დაკავშირებულ პირობები.

5.4.3. თუ ჯავშანს გააფორმებთან /და ამა თუ იმ დამატებით სერვისს ან სხვა სერვისს შეიძენთ:

(i) ბილეთების მართვის ჩვენს აგენტთან აეროპორტში, შესაძლოა, მოგეთხოვოთ ჩვენი აგენტისთვის დამატებითი საფასურის გადახდა, შესაბამისი სერვისის გადასახადის ჩათვლთ, როგორც მითითებულია ვებსაიტზე ან აკში. ინფორმაცია ჩვენი აგენტის მიერ დარიცხულ დამატებით მოსაკრებლს შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ აგენტისგან აეროპორტში.

(ii) საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით ან მასთან დრეკვით თქვენ უნდა გადაიხადოთ დამატებითი მოსაკრებელ სერვისის შესაბამის მოსაკრებელთან ერთად, როგორც განსაზღვრულია ჩვენს ვებსაიტზე.

5.5. მოსაკრებლები დამატებითი სერვისებისა და სხვა სერვისებისთვის

5.5.1. ჯავშნის გაფორმების შემდეგ შეგეძლება დამატებითი სერვისები და სხვა სერვისები შეიძინოთ.

5.5.2. შეძენა შესაძლებელია ვებსაიტზე, აკში და 5.4.3 (i) და 5.4.3 (ii) პუნქტების შესაბამისად, აეროპორტში ან საინფორმაციო ცენტრისგან.

5.5.3. დამატებითი სერვისების ან/და სხვა სერვისების მოსაკრებლები, შესაძლოა, შეიცვალოს დაჯავშნის თარიღის შემდეგ. დამატებითი სერვისების ან/და სხვა სერვისების მოსაკრებლები დამატება შესყიდვის თარიღში, ამის შესახებ კიდეტალები ხელისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე, აკში ან საინფორმაციო ცენტრისგან.

5.6. ვალუტა

5.6.1. ტარიფი, დამატებითი სერვისების მოსაკრებლები და სხვა სერვისების მოსაკრებლები მიეთითება ინვოისში და გადაიხდება გამგზავრების ადგილს ვალუტაში, თუ ჩვენ არ მივუთითებთ სხვა ვალუტას გადახდის ეტაპზე ან მანამდე (მაგ., გამგზავრების ადგილს ვალუტის არაკონვერტირებადობის გამო), ან თუ თავად არაირჩევთ სხვა ვალუტით გადახდას.

5.6.2. ჩვენს ვებსაიტზე მოცემულ ვალუტაში გადასახდელი ტარიფი და მოსაკრებლები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ვალუტა გამგზავრების ადგილს ვალუტაა, როგორც ამას განვსაზღვრავთ ჩვენ თქვენ მიერ დაჯავშნის გაფორმებისას.

5.6.3. სურვილისამებრ, დაჯავშნის გაფორმებისას შეგიძლიათ გადაიხადოთ განსხვავებულ ვალუტაში, რა შემთხვევაშიც ჯამური საფასურს და ვაკონვერტირებთ არჩეულ განსხვავებულ ვალუტის შესაბამის ოდენობაში, რომელსაც დაჯავშნისას გაჩვენებთ.

5.7. გადახდა

5.7.1. თუ სხვაგვარად არ გეტყვით, დაჯავშნის გაფორმებულმა სრულდუნდა გადაიხადოს ჯამური საფასური დაჯავშნის გაფორმებისას. ჯამური საფასური უნდა მივიღოთ ჩვენ მიერ მითითებულ

ვალუტაში, დროის შესაბამის შუალედში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯავშანი არ იქნება მოქმედი და მას გავაუქმებთ.

- 5.7.2. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როცა გადასახადები და სხვა თანხები გეკისრებათ სამგზავრო გეგმის გაცემიდან (ანუ ჯავშნის დადასტურებიდან) გამგზავრებამდე, მოგეთხოვებათ, ცალკე გადაიხადოთ გადასახადები და დაკისრებულ თანხები. ასეთი მოთხოვნის შესახებ დაჯავშნის დროს გეცნობებათ. ზოგიერთმა აეროპორტმა, შესაძლოა, მოითხოვოს აეროპორტის საკომისიოების გადახდა აეროპორტში.
- 5.7.3. თქვენი პასუხისმგებლობაა, გადაიხადოთ ჯამური საფასური მაშინაც კი, თუ მისი რომელიმე ნაწილი თქვენთვის მესამე მხარემ გადაიხადა.
- 5.7.4. ჩვენი ვებსაიტის ან აპის მეშვეობით დაჯავშნისას ჯავშნის გამფორმებელმა უნდა შეასრულოს გადახდა დროის მითითებულ შუალედში. ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით დაჯავშნისას გადახდა უნდა შეასრულოთ PCI-სთან თავსებადი ინტერაქტიური ხმოვანი პასუხის სისტემის მეშვეობით.
- 5.7.5. გადახდის მეთოდები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს, როგორც მითითებულია ვებსაიტზე ან აპში (და შეიძლება მოიცავდეს Wizz Air-ის სასაჩუქრე ვაუჩერებს ან WIZZ კრედიტებს, როგორც იქ იქნება განსაზღვრული).
- 5.7.6. საბანკო გადარიცხვით შესაძლებელია გარკვეულ ქვეყნებში გაფორმებულ ჯავშნების ჯამური საფასურის გადახდა. დეტალებისთვის გაეცანით ჩვენს ვებსაიტს. საბანკო გადარიცხვით ჯავშნის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით დაკისრებულ თანხებისა და ხარჯების გადახდა თქვენი პასუხისმგებლობაა.
- 5.7.7. თუ ჩავთვლით, რომ თქვენ მიერ შესრულებულ გადახდა თაღლითობის მაღალი რისკის შემცველია, პირდაპირ დაგიკავშირდებით დაჯავშნის დროს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე, რომ დავადასტუროთ ჯავშანი და გადახდის დეტალები. თუ თქვენთან დაკავშირება ვერ მოხერხდება ან ვერ დავადასტურებთ გადახდის ან ჯავშნის დეტალებს, უფლებას ვიტოვებთ, გაგიუქმოთ ჯავშანი და ტრანსპორტირების ჯამური ღირებულება დაგიბრუნოთ. ამ მუხლს ნებისმიერი

საწინააღმდეგო დებულების მიუხედავად, პასუხისმგებლობას არ ვიღებთ თქვენ მიერ შესრულებულ გადახდის მონიტორინგსა თუ შემოწმებაზე პოტენციური თაღლითობის თავიდან ასაცილებლად ამ მხრივ ჩვენ მიერ ნებისმიერი ზომა მიიღება დამოუკიდებლად.

5.7.8. თუ საკრედიტო ან სადებეტო ბარათით იხდით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენი ბარათიდან ჩამოჭრილი თანხა განსხვავდება იმ საბოლოო ფასისგან, რომელზეც თქვენი ჯავშნის დასტურშია მითითებული. ეს საერთაშორისო საბარათე გადახდების დამუშავების სისტემაში ვალუტის გადაცვლის კურსში არსებულ სხვაობითაა განმარტებული. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ამ სხვაობებზე.

5.7.9. გადახდილ თანხებს, რომლებიც არ იდენტიფიცირდება, გადახდის თავდაპირველ ანგარიშზე დავაბრუნებთ. ამ საბანკო უკუგადარიცხვასთან დაკავშირებული ყველ ხარჯი დაგეკისრება თქვენ.

5.7.10. ჯამური საფასურის ინვოისს გავცემთ მხოლოდ ელექტრონულ საშუალებით. ინვოისი გაიგზავნება ელფოსტის იმ მისამართზე, რომელსაც მოგვაწვდით ჯავშნის გაფორმებისას. დამატებითი მოსაკრებლს სანაცვლოდ, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ ინვოისის ფიზიკური ასლი ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ შეცვლილი ინვოისი, რომელშიც მითითებული იქნება ინვოისირების განახლებული დეტალები, რომლებიც განსხვავდება დაჯავშნისას თქვენ მიერ მოწოდებულსგან, რისთვისაც შესაძლებელია დაგეკისროთ მოსაკრებელი.

5.7.11. საბანკო გადარიცხვით გადახდის შემთხვევაში, თუ სხვაგვარად არ გვექნება მითითებული, ერთდროულდ მაქსიმუმ ორი ჯავშნის გაფორმება შეგიძლიათ ერთი Wizz ანგარიშიდან.

5.7.12. თუ დაჯავშნიდან 5 დღის განმავლობაში არ მიიღებთ ჩვენგან ჯავშნის დასტურს Wizz Air ანგარიშში მითითებულ ელფოსტის მისამართზე, ჯავშნის მოქმედების დასადასტურებლად უნდა დაუკავშირდეთ საინფორმაციო ცენტრს.

5.8. თანხის დაბრუნება

- 5.8.1. ჩვენი ტარიფები და მოსაკრებლები არ ექვემდებარება დაბრუნებას, ამიტომ გაუქმების, რეისზე დაგვიანების ან გაუმგზავრებლობის შემთხვევაში, თანხა არ დაგიბრუნდებათ, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული ამ წესებში.
- 5.8.2. გამგზავრებამდე ერი თვის განმავლობაში ოჯახის უშუალო წევრის (დედის, მამის, ბებუის/ბაბუის, შვილის, შვილიშვილის, დის, ძმის, მეუღლის, ქმრის, სამოქალაქო პარტნიორის) გარდაცვალების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თანხის დაბრუნება ტარიფის იმ ოდენობით, რომელიც გადაიხადეთ ავიარებისთვის, რომლებიც ვერ გაემგზავრეთ გარდაცვალების აღნიშნულ შემთხვევის გამო, ასევე იმ გადასახადების, მოსაკრებლებისა და დაკისრებულ თანხების დაბრუნება, რომლებიც გადაიხადეთ მოთხოვნა უნდა წარადგინოთ გარდაცვალების შემთხვევიდან ერთი თვის განმავლობაში და წარმოადგინოთ გარდაცვალების მოწმობა.
- 5.8.3. თუ თქვენი ჯგუფის რომელიმე წევრი მძიმე დაავადებას და ვერ შეძლებს მგზავრობას ან გამგზავრებამდე გარდაიცვლება, ჯავშანში მითითებულ ყველ მგზავრს სრულ დავუბრუნებთ გადახდილ თანხას. უნდა წარმოადგინოთ გამგზავრების თარიღამდე მძიმე ავადყოფობის ან გარდაცვალების დამადასტურებელ შესაფერისი მტკიცებულება.
- 5.8.4. თუ თქვენს ავიარების გავაუქმებთან მარშრუტსა თურებისთვის განსაზღვრულ დროებს შეეცვლეთ თქვენს მგზავრობის გეგმაში პუნქტ 6.3-ის შესაბამისად, შეგიძლიათ გააუქმოთ ხელშეკრულება და უფლება გაქვთ, დაიბრუნოთ ჯამური ღირებულება.

6. ჯავშანში ცვლილებების შეტანა

6.1. განრიგი

- 6.1.1. ჩვენს განრიგში ან სხვაგან მითითებული გამგზავრებისა და ჩაფრენის დროები არ არის გარანტირებული და არ წარმოადგენს ჩვენ და თქვენ შორის გაფორმებულ ტრანსპორტირების ხელშეკრულების ნაწილს. ამ პუნქტის შესაბამისად, უფლებას ვიტოვებთ, შევცვალოთ ისინი.

6.1.2. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ამა თუ იმ ავიარების თარიღებისა თუ დროების ან შესრულების შესახებ მესამე მხარეების მიერ გამოქვეყნებულ განრიგებში ან სხვა ინფორმაციაში დაშვებულ შეცდომებსა თუ რაიმეს გამოტოვებაზე.

6.2. პირდაპირი ავიარისები

6.2.1. Wizz Air პირდაპირი გადამყვანია და ჩვენ არ ვასრულებთ დამაკავშირებელ ან საერთო ბილეთებით მგზავრობებს ჩვენი რეისების ან სხვა გადამყვანების რეისების შემთხვევაში, ჩვენს დაგეგმილკომერციულავიარეისებთან დაკავშირებით.

6.2.2. თუ ჩვენთან შემდგომი რეისი ან სხვა გადამყვანის რეისი დაჯავშნეთ, ეს წარმოადგენს ტრანსპორტირების ცალკე ხელშეკრულებას. ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას და არც პასუხისმგებლობას ვიღებთ, თუ შემდგომი რეისით ტრანსპორტირება ვერ მოხერხდება. თუ ასეთი შემდგომი რეისის დაჯავშნას გადაწყვეტთ, თავად იქნებით პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ დიცვათ რეგისტრაციასთან, ბარგთან და სამგზავრო დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნები შესაბამისი ავიარეისისთვის.

6.2.3. ჩვენ ვითხოვთ, რომ გქონდეთ დანიშნულების ქვეყანაში შესვლის უფლება. ჩვენ არ ვითვალსწინებთ ამა თუ იმ შემდგომ ავიარეისს, რომელიც, შესაძლოა, გქონდეთ (იმ შემთხვევაშიც კი, თუ დანიშნულების აეროპორტში სატრანსფერო მარშრუტისთვის განკუთვნილი მოსაცდელი დარბაზია). უფლებას ვიტოვებთ, უარი ვთქვათ თქვენს ან/და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე, თუ ვერ წარმოადგენთ საჭირო სამგზავრო დოკუმენტებს.

6.3. ტრანსპორტირების ხელშეკრულების შესწორება Wizz Air-ის მიერ

6.3.1. მგზავრობის გეგმის გაცემის შემდეგ ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს რეისის განრიგით გათვალსწინებულ დროის, თარიღის ან მარშრუტის (მათ შორის, გამგზავრების ადგილს ან დანიშნულების ადგილს) შეცვლა. ჩვენ დაგიკავშირდებით აპის მეშვეობით ან თქვენ მიერ დაჯავშნისას მოწოდებულ ელფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე და გაცნობებთ ნებისმიერ

აღნიშნულ ცვლელის შესახებ. თუ რეისის დრო, თარიღი ან მარშრუტი შეიცვლება, ხოლო თქვენ ნებისმიერი ფორმით დაეთანხმებით აღნიშნულ ცვლელას, თქვენ და ჩვენ შორის გაფორმებულ ტრანსპორტირების ხელშეკრულებაში შევა შესაბამისი ცვლულები.

6.3.2. იმ შემთხვევების გარდა, როცა კონვენცია ან №261 ნორმატიული აქტი (ან ნებისმიერი მოქმედი ნორმატიული აქტი, რომელიც, შესაძლოა, ზოგჯერ ძალში იყოს) ითვალისწინებს საწინააღმდეგოს, თუ თქვენი ჯავშნის გაფორმების შემდეგ (მაგრამ განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე) ჩვენ გავაუქმებთ თქვენს რეისს ან შევცვლით გამგზავრების დაგეგმილ დროს, (i) ხოლო აღნიშნულ ცვლელა ან შემოთავაზებულ ახალ რეისი თქვენთვის მიუღებელი იქნება და (ii) შესაფერის რეისზე თქვენთვის ჯავშნის გაფორმებას ვერ მოვახერხებთ, თქვენ შეგეძლება და უკავშირდეთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და აირჩიოთ ერთი შემდეგი ვარიანტი:

6.3.2.1. ჩვენ შეგვიძლია (ადგილების ხელისაწვდომობის გათვალისწინებით) გაგიფორმოთ ჯავშანი ჩვენ მიერ შესრულებულ ახალ რეისზე იმავე მიმართულებით ან, საჭიროების შემთხვევაში, ანალოგიური მარშრუტით, გაუქმებულ/გადაღებულ რეისის გამგზავრების დაგეგმილ თარიღამდე 14 დღის ან მის შემდეგ — 30 დღის განმავლობაში; ან

6.3.2.2. შეგიძლიათ გააუქმოთ ჯავშანი და მოითხოვოთ კრედიტი „მომხმარებელს ანგარიშზე“ თქვენ მიერ გაუქმებულ რეისისთვის და, შესაბამის შემთხვევაში, უკანა სეგმენტისთვის; ან

6.3.2.3. შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი ჯავშანი და მოითხოვოთ გაუქმებულ რეისისთვის და, შესაბამის შემთხვევებში, უკანა რეისისთვის გადახდილ ტრანსპორტირების სრულ ღირებულების ანაზღაურება.

6.3.2.4. თუ მას შემდეგ, რაც აირჩევთ ვარიანტს პუნქტებიდან 6.3.2.1 – 6.3.2.3, თქვენი არჩევანის შეცვლას მოისურვებთ, ამის გაკეთებას შეძლებთ ამ პირობებით გათვალისწინებულ ზოგადი წესების თანახმად და შესაბამისი მოსაკრებლს გადახდის სანაცვლოდ.

თუ აკრძალვის მიუხედავად თქვენს ბარგში აღმოჩნდება მუხლში 15.4 მითითებული ნივთები, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ასეთი ნივთების დავიანებაზე, დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.

15.4.2. 15.4.1-ის გარდა, არარეგისტრირებულ ბარგის ან პირადი ნივთების სახით აკრძალულია დანების, მაკრატლს, ბასრი პირების, მჭრელ ინსტრუმენტების, ნემსების, შპრიცების და სხვა ბასრი ნივთების გადატანა, ასევე ნებისმიერი ისეთი ნივთის, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იყოს იარაღად.

15.4.3. არარეგისტრირებულ ბარგის ან პირადი ნივთების სახით შესაძლებელია მხოლოდ იმ ნივთების გადატანა, რომლებიც დაშვებულია ტრანსპორტირებისთვის და მხოლოდ იმ რაოდენობითა თუ შეფუთვით, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და უსაფრთხოების რეგულაციებით.

15.5. პირობითი ტრანსპორტირების საგნები

15.5.1. საჭიროა, დაჯავშნის დროს გვაცნობოთ, თუ გსურთ, გადაიტანოთ ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთები:

15.5.1.1. მსხვრევადი საგნები;

15.5.1.2. არასასიამოვნო ხასიათის მასალები;

- 15.5.1.3. შშმ პირის მშრალ ჰერმეტიკულ აკუმულატორიან ბატარეაზე მომუშავე ეტლო (მხოლოდ როგორც რეგისტრირებული ბარგი);
- 15.5.1.4. სხვა არასტანდარტული ნივთები, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), სპორტული აღჭურვილობა (მაგალითად, ველსიპედი, სათხილმურო, სასნოუბორდინგო, გოლფის, დაივინგის, სერფინგისა და სათევზაო აღჭურვილობა და ა.შ.), რქები და ნადვლი, ჭოკები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ.

ზემოაღნიშნულთან რომელიმე ნივთის ტრანსპორტირების განზრახვის შესახებ უნდა გვაცნობოთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით. ასეთი საგნების ტრანსპორტირება მხოლოდ ჩვენი თანხმობით შეგიძლიათ.

- 15.5.2. თუ 15.5.1.2, 15.5.1.3 და 15.5.1.4 ქვეკუთხუთხებში აღნიშნულ ნივთის გადატანა გსურთ, საჭირო იქნება, გადაიხადოთ მოსაკრებელ ტარიფების შესაბამისად. დეტალური ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.
- 15.5.3. თუ ქვეკუთხუთხეში 15.5.1 აღნიშნულ ნივთების შესახებ წინასწარ არ შეგვატყობინებთ და ჩვენს თანხმობას არ მიიღებთ, ჩვენ შეიძლება უარი გითხრათ მათ ტრანსპორტირებაზე ან/და არ ვიქნებით პასუხისმგებელი მათდა გვიანებაზე და დაზიანებაზე.
- 15.5.4. ჩვენ მიერ გაცემულ ნებისმიერი ნებართვის მიუხედავად, მსხვრევადი ნივთებთან დაკავშირებულ რისკს მთლიანად საკუთარ თავზე იღებთ (მიუხედავად იმისა, რეგისტრირებული ბარგში იქნება ისინი, და ურეგისტრირებულ ბარგში თუ სხვაგან), ასევე, სრულდაცნობიერებთ და ადასტურებთ არსებულ რისკებს და მათ ხასიათს. ჩვენ არანაირი პასუხისმგებლობა არ დაგვეკისრება ასეთი მსხვრევადი ნივთების დაზიანებასა და გაუარესებაზე ან მათი გადატანის დროს ან გადატანასთან დაკავშირებით მომხდარ შემთხვევაზე. მსხვრევადი საგნების შემცველი ბარგის რეგისტრირებული ბარგის სახით გადატანა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი იარლიყით.

15.6. ცხოველები

ჩვენს რეისებზე არ გადაგვყავს ცოცხალ ცხოველები სერტიფიცირებულ და მხმარე ძაღლების გარდა. სერტიფიცირებულ და მხმარე ძაღლებთან დაკავშირებულ წესების შესახებ დამატებით ინფორმაციისთვის გაეცანით პუნქტ 8.4-ს.

15.7. თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე უარის უფლება

ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ ნებისმიერი ნივთის ან ნივთიერების ტრანსპორტირებაზე, რომელსაც ჩავთვლით ტრანსპორტირებისთვის შეუფერებლად მისი ზომის, ფორმის, წონის, შემადგენლობის, ხასიათის ან შეფუთვის გამო, ასევე, უსაფრთხოების ან სხვა მგზავრების კომფორტის მოსაზრებებიდან გამომდინარე.

15.8. ბარგის ჩხრეკის უფლება

უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ თქვენი ტანსაცმლის ან ბარგის გაჩხრეკის ნებართვა. თუარიქნებითა დგილზე ან რაიმე სხვა მიზეზის გამო იქნებით მიუწვდომელი, თქვენი ბარგი შეიძლება გაიჩხრიკოს თქვენს და უსწრებლად, რათა დადგინდეს, შეიცავს თუ არა ის იმ ნივთებსა თუ ნივთიერებებს, რომლებიც მითითებულია 15.4 ან 15.5 პუნქტებში. თუ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ მოისურვებთ, ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ თქვენს ან/და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც გამოწვეულ იქნება ამგვარი ჩხრეკით, რამდენადაც ეს დაშვებულია შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით.

15.9. რეგისტრირებულ ბარგის მიწოდება და აღება

15.9.1. აეროპორტებში ბარგის მიწოდება ხდება ბარგის გაცემის სპეციალური ტერმინალების საშუალებით, ავტომატურად და არა პირადად. აღნიშნული ტერმინალებიდან ბარგის მიღება თქვენი პასუხისმგებლობაა. ბარგის მიწოდების შემდეგ ჩვენ აღარ ვიქნებით მასზე პასუხისმგებელი. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია შევამოწმოთ თქვენი ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღები და ბარგის მოთხოვნის იარაღები. მოუთხოვნელი ბარგი, რომელიც ინახება ჩვენთან, გადაეცემა მხოლოდ იმ პირს,

რომელიც წარმოადგენს ბარგის მოთხოვნის იარაღს, რომელიც შეესაბამება ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღს. თუ პირი, რომელიც ითხოვს რეგისტრირებულ ბარგს, ვერ ახერხებს ბარგის შემოწმებას და მის იდენტიფიცირებას ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღის მეშვეობით, ჩვენ ასეთ პირს ბარგს გადავცემთ მხოლოდ იმ პირობით, რომ ის დამაკმაყოფილებლად დაადასტურებს მის უფლებას ბარგზე.

15.9.2. თქვენი რეგისტრირებული ბარგი უნდა მიიღოთ, როგორც კი ის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება.

15.9.3. თუ თქვენი ბარგის ან პირადი ნივთების მიღებას ვერ მოახერხებთ, ჩვენ შევინახავთ მათ 90 დღის განმავლობაში და დაგაკისრებთ შენახვის მოსაკრებელს. თუ მათ დროის შესაბამის პერიოდში არ მოითხოვთ, შესაძლოა, ისინი გავყიდოთ. თუ ბარგის ან პირადი ნივთების საფუძველზე თქვენს იდენტიფიცირებას შევძლებთ, თქვენ მიერ მოწოდებული საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით შეგატყობინებთ, რომ ვგეგმავთ, გავყიდოთ ნივთები, რომლებიც არაგაიღიათ, ასევე იმას, თუ როდის მოხდა გაყიდვა.

16. შეფერხებები

16.1. ამ წესებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ თქვენი უფლებების გარდა, ჩვენს განრიგში, ვებსაიტზე ან სხვაგან ნაჩვენები ფრენის დროების სისწორე გარანტირებული არ არის.

16.2. ჯავშნის გაფორმების შემდეგ ნებისმიერ დროს, შესაძლოა, დაგჭირდეს ჩვენი განრიგების შეცვლა ან ამა თუ იმ რეისის გაუქმება, გადამისამართება, ჩასხდომაზე უარის თქმა ან დაყოვნება. შესაძლოა, ეს მოიცავდეს ცვლილებებს უსაფრთხოების მოსაზრებების, სავალდებულო მარეგულირებელ ნებართვებისა თუ სხვა კომერციული და ოპერაციული მიზეზების გამო.

16.3. ჩვენი მხრიდან გაუქმების ან მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ამის შესახებ ჯავშნის გამფორმებელს დავუკავშირდებით გონივრულ ვადაში, ჯავშანში მოცემულ საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით. თუ ჯავშნის გამფორმებელი ხართ, თქვენი პასუხისმგებლობაა, დაეკონტაქტოთ

ჯავშანში მითითებული ყველ სხვა მგზავრს ასეთ ცვლელბასთან დაკავშირებით.

16.4. ამ წესებიდან არაფერი შეეხება თქვენს უფლებებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა განიჭებთ. შეფერხებულ სერვისებთან დაკავშირებით თქვენი უფლებების შესახებ დამატებითი დეტალებისა სასარგებლო ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ ჩვენი ვებსაიტი.

17. პასუხისმგებლობა

17.1. ზოგადი

17.1.1. ამ წესებს ექვემდებარება ჩვენი პასუხისმგებლობა თქვენდამი და ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი პასუხისმგებლობა ჩვენდამი. ნებისმიერი იმ გარეშე გადამყვანის ვალდებულება, რომლის ბილეთით ან ჯავშნითაც მგზავრობთ, განისაზღვრება ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით შესაბამისი სხვა გადამყვანის პირობებით. მგზავრებსა და ბარგზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ძირითადი დებულებების შეჯამება, კომპენსაციისთვის სარჩელს წარდგენისა და იმ შესაძლებლობის ჩათვლით, რომ შეავსოთ სპეციალური დეკლარაცია ბარგისთვის, შეგიძლიათ იპოვოთ ამ წესების დანართში.

17.1.2. ბევრ შემთხვევაში ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ თქვენს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ექვემდებარება წესებს, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენცია და ნორმატიული აქტი 2027/97, იმ შემთხვევებში კი, რომლებშიც ეს ასე არ არის, ვრცელდება სხვა მოქმედი კანონები. შესაბამის შემთხვევებში, ჩვენი პასუხისმგებლობა გარდაცვალებაზე ან ტრავმებზე, ბარგის განადგურებაზე, დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასევე დაგვიანებაზე, შეიზღუდება კონვენციის შესაბამისად და როგორც გაწერილია ამ წესების ფარგლებში (კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონვენციას), ჩვენი პასუხისმგებლობით გათვალისწინებული ოდენობა კი არცერთ შემთხვევაში არ აღემატება დადსტურებულზარალს.

17.1.3. თუ დავამტკიცებთ, რომ ზიანი, რომლის გამოც მოთხოვნილია ანაზღაურება, გამოიწვია გულგრილობამ ან სხვა არასწორმა

ქმედებამ ან უმოქმედობამ კომპენსაციის მომთხოვნი პირის მხრიდან ან იმ პირის მხრიდან, რომლისგანაც მან მიიღო უფლებები, ჩვენ სრულდ ან ნაწილობრივ გავთავისუფლებით პასუხისმგებლობისგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17.1.4. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის მითითებული კონვენციაში ან ამ წესებში, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენ მიერ ან თქვენი ბარგის გამოდამდგარ ზიანზე და თქვენ იქნებით პასუხისმგებელი სხვა პირების მიმართ ან მათი (მათ შორის, ჩვენი) საკუთრებისთვის მიყენებულასეთ ზიანზე.

17.1.5. შესაბამის შემთხვევებში, ტრანსპორტირების ხელშეკრულება, ტრანსპორტირების ეს ზოგადი პირობები და როგორც გამონაკლსები, ისე პასუხისმგებლობის შეზღუდვები, ასევე ვრცელდება ჩვენს თანამშრომლებზე, მომსახურე პერსონალსა და აგენტებზე, როცა ისინი მოქმედებენ სამსახურებრივ ფარგლებში და რამდენადაც მათარ უმოქმედათ და უღევრად და არც ზიანის გამწვევის განზრახვით. შესაბამის შემთხვევებში, ჩვენ მიერ და ჩვენი თანამშრომლის, მომსახურე პერსონალსა და აგენტების მიერ დასაფარი თანხების აგრეგირებული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს პასუხისმგებლობის მოქმედლმიტებს, როგორც მითითებულია ამ პირობებში.

17.1.6. თუ კონვენცია, ნორმატიული აქტი 2027/97 ან რომელიმე მოქმედი კანონმდებლობის სავალდებულო დებულებები არ ითვალსწინებს საწინააღმდეგოს, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ხელდან გაშვებულ სარგებელსა და პირდაპირ ან ირიბ ზარალსა თუ დასაკარგზე.

17.2. პასუხისმგებლობა ბარგზე

17.2.1. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენი და ურეგისტრირებელი ხელბარგის ან პირადი ნივთების დაზიანებაზე, გარდა იმ ფარგლებისა, რომლებშიც ჩვენი მიზეზით გამწვეულია ზიანი.

17.2.2. რეგისტრირებულ ბარგის მხრივ, ჩვენ პასუხს ვაგებთ მის განადგურებაზე, დაკარგვაზე ან დაზიანებაზე (როცა ასეთი შემთხვევა სცდება ავიატრანსპორტირებით გამწვეული ბუნებრივი ცვეთის შედეგს), რომელიც იმ დროს მოხდა, როცა ბარგი ჩვენი კონტროლს ქვეშ იყო და იმდენად, რამდენადაც ზიანი არ

ყოფილ გამოწვეულ რეგისტრირებულ ბარგის არსებულ დეფექტით, ხარისხით ან ნაკლოვანებით, ან თქვენი მიზეზით, მაგალთა და გადავსების ან ზედმეტი ნივთების ჩაწყობის გამო.

17.2.3. ჩვენი პასუხისმგებლობა ზიანზე, რომელიც გამოიწვია ბარგის ავიატრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პროცედურების დაგვიანებამ, განისაზღვრება კონვენციით, ჩვენ კი შევძლებთ დავიცვათ თავი ასეთი ვალდებულების შემთხვევაში, თუ ვაჩვენებთ, რომ ჩვენ, ჩვენმა თანამშრომლებმა, მომსახურე პერსონალმა თუ აგენტებმა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელი ყველ ზომა მივიღეთ ზიანის თავიდან ასაცილებლად, ან თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ან მათთვის შეუძლებელი იყო ასეთი ზომების მიღება.

17.2.4. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს დაზიანებაზე, დაკარგვაზე, განადგურებასა და დაგვიანებაზე (i) ტრანსპორტირებისთვის დაუშვებელ ნებისმიერი ნივთის შემთხვევაში, (ii) სახიფათო პროდუქციის შემთხვევაში, (iii) ნებისმიერი სახის ბარგზე რომელიც მიღებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის იარაღით, და (iv) პირობითი ტრანსპორტირების ნივთებზე, რომელთა ტრანსპორტირების შესახებაც არ გვეცნობება და ჯავშნისას ან რომელთა ტრანსპორტირებასაც არ დავთანხმდით.

17.2.5. ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას თქვენი ბარგის უმნიშვნელო გარეგან დაზიანებაზე (როგორც არის ნაკაწრები, დაბინძურება, ლქები, შენაჭყლუტები და ა.შ.), რომლებიც შეიძლება ბუნებრივი ცვლის შედეგი იყოს ტრანსპორტირების განმავლობაში. მხოლოდ იმ დაზიანებას ვითვალისწინებთ, რომლებიც ხელს უშლის ბარგის ფუნქციურ გამოყენებას.

17.2.6. ბარგის (მათ შორის, რეგისტრირებულ ბარგის, არარეგისტრირებულ ბარგის და პირად ნივთების) გადატანისას განადგურებაზე, დაკარგვაზე, დაზიანებაზე ან დაგვიანებაზე ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 1288 SDR-ით (სპეციალური სასესხო უფლება) ყოველმგზავრზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მგზავრმა, რეგისტრირებულ ბარგის ჩვენთვის გადმოცემისას განაცხადა ბარგის დამატებითი ფასეულობის შესახებ და გადაიხადა დამატებითი თანხა (საჭიროების შემთხვევაში). აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დეკლარირებულ და დასტურებულ თანხით, იმ შემთხვევის გარდა, თუ

დავამტკიცებთ, რომ აღნიშნული თანხა აღემატება მგზავრისთვის ბარგის ფაქტობრივ ფასეულობას. ბარგის დამატებითი ფასეულობის შესახებ თითოეული განაცხადის შემთხვევაში ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 2224 SDR-ით.

17.2.7. თუ ბარგის ღირებულება აღემატება 1288 SDR-ით განსაზღვრულ ლიმიტს, ბარგის ღირებულების შესახებ უნდა გვაცნობოთ რეისზე რეგისტრაციისას ან სრულდ უნდა დააზღვიოთ ბარგი მგზავრობამდე.

17.2.8. წესში 17.2.6 გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შეზღუდვები არ ვრცელდება, როცა მტკიცდება, რომ დაზიანება გამოიწვია ჩვენი, ჩვენი თანამშრომლის, მომსახურე პერსონალს ან აგენტების მოქმედებამ ან უმოქმედობამ და განხორციელდა ზიანის მიყენების მიზნითან და უდევრად და იმის გაცნობიერებით, რომ, სავარაუდოდ, დადგებოდა ზიანი, თქვენ კი ამტკიცებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები, მომსახურე პერსონალი ან აგენტები მოქმედებდნენ სამსახურებრივ ფარგლებში.

17.2.9. თქვენ ვალდებული ხართ, შეამოწმოთ, რომ თვითმფრინავიდან ჩასვლასა და ბორტზე არ გრჩებათ რაიმე ნივთი. თუ ბორტზე რაიმე დაგრჩათ, გირჩევთ დაუკავშირდეთ აეროპორტის დაკარგულ და ნაპოვნი ნივთების დეპარტამენტს.

17.2.10. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს რაიმე სახის ზიანზე, რომელიც წარმოიშობა ჩვენი მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო წესებისა და რეგულაციების დაცვის შედეგად ან თქვენი ამის შეუსრულებლობის გამო.

17.3. პასუხისმგებლობა მგზავრების გარდაცვალებაზე, ტრავმასა და დაზიანებაზე

17.3.1. კონვენციის ფარგლებში, თქვენ მიმართ პასუხისმგებელი ვიქნებით იმ „ინციდენტის“ შემთხვევაში, როგორც ეს განიმარტება კონვენციაში, რომელმაც გამოიწვია გარდაცვალება ან სხვა სახის ფიზიკური დაზიანება, როცა ინციდენტი მოხდა თვითმფრინავის ბორტზე ყოფნისას, ჩასხდომისას ან ჩასვლასას.

17.3.2. ჩვენი პასუხისმგებლობა მგზავრების გარდაცვალებაზე ან ფიზიკურ ტრავმებზე ექვემდებარება შეზღუდვებს, როგორც აღწერილია კონვენციაში და ტრანსპორტირების ამ ზოგად პირობებში. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მოთხოვნის წარმდგენის უფლების მტკიცებულების საფუძველზე, ჩვენ მკაცრად ვაგებთ პასუხს დამტკიცებულ ზიანზე მაქსიმუმ 128 821 SDR-ის ფარგლებში თითოეულ მგზავრზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ზიანი გამოწვეულია ან განპირობებულია დაშავებულ ან გარდაცვლილ მგზავრის დაუდევრობით. 128 821 SDR-ის ღონის ზემოთ, ასევე, უფლება გვექნება, ვისარგებლოთ დაცვის სხვა საშუალებებით, რომლებიც ხელმისაწვდომია კონვენციის ფარგლებში (იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნას შეეხება). 128 821 SDR-ის გადაჭარბების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მოვიხსნათ პასუხისმგებლობა, თუ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ (i) ამგვარი ზიანი არ იყო გამოწვეული ჩვენი, ჩვენი თანამშრომლების, აგენტების ან მოსამსახურეების არასამართლებრივი ქმედებით, უმოქმედობით, თვითნებობით ან გულგრილობით, ან (ii) ამგვარი ზიანი გამოწვეული იყო მხოლოდ მესამე მხარის არასამართლებრივი ქმედებით, უმოქმედობით, თვითნებობით ან გულგრილობით.

17.3.3. თუ დავამტკიცებთ, რომ ზიანი გამოიწვია გარდაცვლილ ან დაშავებულ მგზავრის გულგრილობამ ან სხვა არასწორმა ქმედებამ ან უმოქმედობამ, შესაძლოა, სრულდნა ნაწილობრივ გავთავისუფლდეთ პასუხისმგებლობისგან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17.3.4. ჩვენ დაუყოვნებლივ და კომპენსაციის მიმღები ფიზიკური პირ(ებ)ისთვის ვინაობის დადგენიდან (სასამართლოს მიერ ან სხვაგვარად) არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში განვახორციელებთ წინასწარ გადახდას, როგორც საჭირო იქნება უშუალო ეკონომიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გამოწვეული სიდუხჭირის პროპორციულად. გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი გადახდის ოდენობა არ იქნება 16 000 SDR-ის ეკვივალენტზე ნაკლები თითო მგზავრზე. წინასწარი გადახდა არ ჩაითვლება პასუხისმგებლობის აღიარებად ან დაშვებად. წინასწარი გადახდა შეიძლება გაიქვიტოს რომელიმე შემდგომი შეთანხმებისას, როცა თანხის გადახდა მოგვიწევს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველზე.

17.3.5. წინასწარი გადახდა არაანაზღაურებადია, თუ ჩვენ მიერ არ დამტკიცდება, რომ:

17.3.5.1. ზიანი გამოიწვია ან განაპირობა დაშავებული ან გარდაცვლილი მგზავრის დაუღვერობამ, არასწორმა ქმედებამ ან უმოქმედობამ; ან

17.3.5.2. პირი, რომელმაც მიიღო წინასწარი გადახდა, გამოიწვია ან განაპირობა ზიანი დაუღვერობითან სხვა არასწორი ქმედებით თუ უმოქმედობით; ან

17.3.5.3. პირი, რომელმაც მიიღო გადახდა, არ იყო ის პირი, რომელსაც ეკუთვნოდა კომპენსაცია.

17.3.6. გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაბამისი კანონმდებლობა, შესაძლოა, განსხვავებულ მითითებებს ითვალისწინებდეს, როცა წინასწარ გადახდილი თანხა დაბრუნებას ექვემდებარება 17.3.5 ქვეპუნქტში გაწერილ რომელიმე მიზეზის გამო, პირმა, რომელმაც მიიღო გადახდილი თანხა, დაუყოვნებლივ უნდა დაგვიბრუნოს ის შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე (სასამართლოში თუ სხვაგვარად დამტკიცების შემთხვევაში), ასევე, დრიცხული პროცენტი, რომელიც გამოითვლება შესაბამისი პირის მიერ გადახდილი თანხის მიღებიდან ჩვენთვის თანხის დაბრუნების თარიღამდე, არსებული განჩინებით გათვალისწინებული ტარიფით, რომელიც იმოქმედებს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოში.

17.3.7. კონვენციის შესაბამისად, მგზავრთა ტრანსპორტირების დაგვიანებით გამოწვეულ ზარალს შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 5 346 SDR-ით ყოველმგზავრზე. ჩვენ არ დაგვეკისრება პასუხისმგებლობა, თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა, მომსახურე პერსონალმა ან აგენტებმა ყველგონივრულ ზომას მიიღეს ზიანის თავიდან ასარიდებლად ან ჩვენთვის ან მათთვის შეუძლებელი იყო ასეთი ზომების მიღება.

18. მოთხოვნის პროცედურები

18.1. პირად ტრავმასთან ან გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

18.1.1. თუ:

18.1.1.1. მოთხოვნა გაქვთ პირად ტრავმის გამო; ან

18.1.1.2. თქვენს პირად წარმომადგენელს აქვს მოთხოვნა გარდაცვალების გამო,

თქვენ ან თქვენმა პირადმა წარმომადგენელმა (შესაბამის შემთხვევაში) წერილობით უნდა გვაცნობოს შემთხვევის დეტალები და გვარად მალო.

18.2. მოთხოვნები ბარგთან დაკავშირებით

18.2.1. თუ ბარგს მიიღებთ საჩივრის შემოტანისა და საკუთრების დაზიანების ანგარიშის (PIR) შევსების გარეშე, ითვლება საბუთად, რომ ბარგი ჩაგბარდათ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და ტრანსპორტირების ხელშეკრულების დაცვით, თუ სხვა გვარად არ დამტკიცებთ.

18.2.2. თუ თქვენი ბარგი დაზიანდა, დაიკარგა ან დაგვიანდა ფრენის განმავლობაში, ამის შესახებ უნდა აცნობოთ ჩვენი სახმელთა მომსახურე პერსონალს წევრს და ნიშნულების აეროპორტში, როგორც კი შეიტყობთ, რომ ის დაზიანდა, დაიკარგა ან დაგვიანდა.

18.2.3. თუ თქვენი ბარგი არ ჩამოვა იმავე რეისით, რომლითაც თქვენ იმგზავრებთ, და უყოვნებლივ განაცხადეთ ამის შესახებ ანგარიშის შევსებით სატრანზიტო ზონის დატოვებამდე და შეავსეთ PIR (ან თუ ეს სირთულეს წარმოადგენს, მსგავსი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება მითითებული მოთხოვნის დეტალები) შემთხვევის დეტალები და გვარად მალო.

18.2.4. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი დაზიანებული ან ნაკლებ მდგომარეობაშია, და უყოვნებლივ შეავსეთ ანგარიში და PIR (ან თუ ეს სირთულეს წარმოადგენს, მსგავსი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება მითითებული მოთხოვნის დეტალები) შემთხვევის დეტალები და გვარად მალო. თუ დაზიანების ან ქურდობის ფაქტის დადგენა რეგისტრირებული ბარგის მიღებისას შეუძლებელი იყო,

ამის შესახებ უნდა განაცხადოთ აეროპორტში ბარგის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში.

18.2.5. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი არ ჩამოვიდა იმავდღისით, რომლითაც თქვენ იმგზავრეთ, და ის მიიღეთ დაზიანებულ მდგომარეობაში, ან მას აკლია რაიმე ნივთი, დაზიანების ან ქურდობის შესახებ წერილობით უნდა განაცხადოთ ბარგის ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობაში. თუ ჩვენ ვაღიარებთ თქვენი რეგისტრირებული ბარგის დაკარგვას, ან თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი არ ჩამოვიდა ჩამოსვლს დაგეგმილ დღიდან 21 დღის განმავლობაში, თქვენ უფლება გაქვთ, იძულებით აღასრულოთ თქვენი უფლებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

18.2.6. თუ თქვენი ბარგი 24 საათზე მეტი ხნით დაგვიანდა გასამგზავრებელ რეისზე, შეგიძლიათ გონივრული ოდენობის თანხა დახარჯოთ პირველ დასაჭიროების ნივთებზე, მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში. ეს თანხა რომ მოითხოვოთ, ჩვენ იწინასწარ ფორმის გამოყენებით წერილობითი მოთხოვნა უნდა წარადგინოთ შესაბამისი რეისიდან 21 დღის განმავლობაში. ყველ მოთხოვნა გამყარებული უნდა იყოს საჭირო განხორციელებულ შესყიდვების დოკუმენტირებული მტკიცებულებით (მაგ., ქვითრებით).

18.2.7. ნებისმიერ შემთხვევაში, ბარგის დაზიანებასთან, დაკარგვასთან ან დაგვიანებასთან დაკავშირებული მოთხოვნით უნდა მოგვმართოთ წერილობით დროის შემდეგ შუალედებში:

18.2.7.1. ბარგის დაზიანების შემთხვევაში, როგორც კი დაზიანებას აღმოაჩენთ ბარგის მიღების შემდეგ და მაქსიმუმ შვიდი დღის განმავლობაში; და

18.2.7.2. დაგვიანების შემთხვევაში, 21 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ბარგი თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება.

18.2.7.3. შესაბამის შემთხვევაში, თუ კონვენციის მოთხოვნებს ვერ შეასრულებთ და წერილობით მოთხოვნას არ წარადგენთ ზემოაღნიშნულ დროის შუალედებში, როგორც ამას განსაზღვრავს წინამდებარე წესი 18.2.7, ჩვენ მოგვეხსნება პასუხისმგებლობა.

- 18.2.8. მოთხოვნას თან უნდა დაურთოთ PIR ან მკაფიოდ განსაზღვროთ მოთხოვნის დეტალები (თუ PIR-ის შევსება გერთულება), ასევე, თან დაურთოთ თქვენი მოთხოვნის დამამტკიცებელი ყველ დოკუმენტი მას შემდეგ, რაც ჩახვალთ დანიშნულ ბის პუნქტში.
- 18.2.9. თუ თქვენს არარეგისტრირებულ ბარგს ან პირად ნივთს რაიმე ზიანი მიაღდა, ამის შესახებ უნდა განაცხადოთ თვითმფრინავის ბორტზე. თუ აღნიშნულ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ, ჩვენ გავთავისუფლებით პასუხისმგებლობისგან.
- 18.2.10. შეზღუდვებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, კონვენციის ფარგლებში და სხვა შემთხვევებში, რომლებიც განსაზღვრულია აქ, თუ თქვენი ბარგი დაზიანდება ჩვენ მიერ მისი ავიატრანსპორტირებისას, შეკეთების საკითხებს თავად მოაგვარებთ, მიღებულ ქვითრებს კი ჩვენ გამოვიგზავნით გასათვალისწინებლად. თუ თქვენი ბარგი არ ექვემდებარება შეკეთებას, ჩვენთვის გასაცნობად შემკეთებელი პუნქტისგან უნდა მიიღოთ შესაბამისი წერილობითი დასტური თქვენი ბარგის მარკისა და ღირებულების მითითებით.

18.3. კომპენსაციის მოთხოვნები №261 ნორმატიული აქტის შესაბამისად

- 18.3.1. მგზავრებმა მოთხოვნები პირდაპირ Wizz Air-ს უნდა გადაუგზავნონ ვებსაიტის მეშვეობით და უშუალოდ მათთვის პასუხის გასაცემად გვადროონ 30 დღით (ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ დრომდე, თუ უფრო ნაკლები იქნება).
- 18.3.2. ზემოთ მოცემული ქვეპუნქტი 18.3.1 არ შეეხება მგზავრებს, რომლებსაც თავად არ აქვთ მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობა. იმ მგზავრის კანონიერ მეურვეს, რომელსაც არ აქვს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა, შეუძლია გადმოვიგზავნოს მოთხოვნა მისი სახელით. შესაძლოა, ჩვენ მოვითხოვოთ მტკიცებულება, რომ კანონიერ მეურვეს ჰქონდეს მგზავრის სახელზე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილება.
- 18.3.3. მგზავრს შეუძლია გადმოვიგზავნოს მოთხოვნა იმავე ქავში მიითებულ სხვა მგზავრების სახელით. შესაძლოა, ჩვენ

მოვითხოვთ მტკიცებულება, რომ მოთხოვნის წარმდგენ მგზავრს ამის ნებართვა აქვს.

- 18.3.4. ამ სექციით მგზავრებს არ ეკრძალებათ, გაესაუბრონ იურიდიულ ან სხვა გარეშე მრჩეველებს, სანამ მოთხოვნით უშუალოდ ჩვენ მოგვმართავენ.
- 18.3.5. ზემოთ მოცემულ 18.3.2 და 18.3.3 ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევების გარდა, ჩვენ არ დავამუშავებთ კომპენსაციაზე მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს, თუკი მათთან დაკავშირებული არ ექნება სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მესამე მხარე აღჭურვილია თქვენი სახელთ მოქმედების უფლებამოსილებით.
- 18.3.6. ამ პუნქტის არცერთი დებულება არ გიზღუდავთ იურიდიულ მრჩეველთან ან მესამე მხარის სხვა კომპანიასთან კონსულტაციის გავლს, სანამ უშუალოდ ჩვენ მოგვმართავთ მოთხოვნით 18.3.1-ის შესაბამისად.
- 18.3.7. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით, თქვენ ღია დეტანხებით, რომ ნებისმიერ საკომპენსაციო თანხა გადაირიცხება თქვენს ბარათზე, რომელიც დაჯავშნისას გამოიყენეთ, ან ჯავშანში მითითებული მგზავრის საბანკო ანგარიშზე. Wizz Air-მა შეიძლება მოითხოვოს იმის მტკიცებულება, რომ საბანკო ანგარიში ნამდვილად ეკუთვნის შესაბამის მგზავრს.

18.4. ცესია

- 18.4.1. ცესიის შემთხვევაში Wizz Air არ იქნება ვალდებული, ცესიონარს გადაუხადოს რაიმე თანხა, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი პირობები:

- 18.4.1.1. Wizz Air-მა უნდა მიიღოს წერილობითი უწყება ცესიის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება დათმობილ მოთხოვნები (ჯავშნის ნომერი, ცესიის საფუძველ და ვადა). უწყება ხელმოწერილი უნდა იყოს ცედენტის მიერ, ან მას დაკავშირებული უნდა ჰქონდეს უფლების გადაცემის აქტი (ორიგინალი ან დამოწმებული ასლი); და

18.4.1.2. Wizz Air იღებს აღსრულების წერილობით ინსტრუქციას, სამოქალაქო კოდექსის 6:198 მუხლს შესაბამისად, თუ ცესიის შესახებ უწყება არ იქნება გადმოგზავნილი ცედენტის მიერ, ან თუ Wizz Air-ისთვის უკვე არ იქნება მიწოდებული უფლების გადაცემის აქტი. აღსრულების ინსტრუქცია ხელმოწერილი უნდა იყოს ცედენტის მიერ, ან მას დაართულო უნდა ჰქონდეს უფლების გადაცემის აქტი. წინამდებარე 18.4.1 ქვეპუნქტის ფარგლებში, წერილობითი უწყება /აღსრულების ინსტრუქცია ითვლება უწყებად, რომელიც გაფორმებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 325 პუნქტით გათვალისწინებულ სრულ დამატკიცებელ ძალს მქონე კერძო-სამართლებრივი დოკუმენტის სახით.

18.4.2. Wizz Air-ის მიერ ცესიასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების დასაფარად Wizz Air-ს დაწესებულ აქვს ცესიის ადმინისტრაციული მოსაკრებელი ყოველი მგზავრის დათმობილი უფლებებისთვის, რომლის ოდენობაც პერიოდულად ქვეყნდება ვებგვერდზე. ცედენტი და ცესიონარი ერთობლივად და ცალცალკე აგებენ პასუხს ცესიის მოსაკრებლსა და ცესიიდან გამომდინარე დამატებით ხარჯების გადახდაზე, სამოქალაქო კოდექსის 6:200 § მუხლს შესაბამისად. Wizz Air-ს უფლება აქვს, გამოქვითოს ცესიის ადმინისტრაციული მოსაკრებელი თქვენთვის ან ცესიონარისთვის განკუთვნილი ნებისმიერი თანხიდან.

18.4.3. თქვენი სახელთ მოქმედი პირისთვის კომპენსაციის გადახდა ითვლება სათანადო კომპენსაციად და გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და თქვენი მხრიდან კომპენსაციის მიღებაზე ნებისმიერი დამატებითი პრეტენზიებისგან.

18.5. მომხმარებლის საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურა

ზოგადო შეკითხვებისა და საჩივრების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ჩვენი ვებსაიტის ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

19. კონფლიქტური სიტუაციის აღტერნატიული გადაწყვეტა

- 19.1. თუ თქვენს საჩივარზე პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, ზოგიერთ ქვეყანაში შეგიძლიათ საჩივარი გადასცეთ დავების არასასამართლო გზით მოგვარების ორგანოს.
- 19.2. უნგრეთში საჩივარი შეგიძლიათ შეიტანოთ შემრიგებელ ორგანოში, რომელიც დაფუძნებულია საოლქო სავაჭრო-სამრეწველო პალატების მიერ (<http://www.bekeltetes.hu/index.php?id=testuletek>).
- 19.3. საჩივრის შეტანა შეგიძლიათ ევროკომისიის დავების ონლაინ მოგვარების პლატფორმის მეშვეობითაც, შემდეგ მისამართზე: <http://ec.europa.eu/consumers/odr/> (ODR). ODR-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე.

20. საჩივრები

საჭაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საჩივრები (ბარგის შესახებ საჩივრების გარდა) უნდა წარადგინოთ წერილობით, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში მას შემდეგ, რაც მოხდება სუბიექტთან დაკავშირებულ მოვლენა, თუმცა საჩივრის გამომწვევი გარემოებების აღმოჩენიდან არაუგვიანეს 2 თვისა (რადგან შეტყობინების დაგვიანება უარყოფითად მოქმედებს ჩვენს შესამუშავებაზე, გამოვიძიოთ გარემოებები). საჩივარი გათვალისწინებული იქნება კონვენციისა და ტრანსპორტირების ზოგადი პირობების იმ ვერსიის შესაბამისად, რომელიც ძალში იქნება თქვენ მიერ ჯავშნის გაფორმებისა და ჩვენთან ხელშეკრულების დადების დროს. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ნებისმიერ დანაკარგზე ან ზარალზე, რომელსაც გამოიწვევს საჩივრის წარდგენის დაგვიანება.

21. სარჩელს ხანდაზმულობა

თქვენი უფლება, წარმოადგინოთ ნებისმიერი სახის მოთხოვნა, რომელიც ექვემდებარება კონვენციას, შეწყვეტს მოქმედებას, თუ არ მიიღებთ არანაირ ზომას დანიშნულების ადგილზე ჩასვლას დიდან, დანიშნულების ადგილზე თვითმფრინავის დაგეგმილ ჩასვლას დიდან ან ტრანსპორტირების შეწყვეტის დიდან 2 წლას განმავლობაში. მოთხოვნის ხასიათის, იურისდიქციისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, იმოქმედებს შეზღუდვის სხვა კონკრეტული პერიოდები, რომლებსაც არ ითვალისწინებს კონვენცია.

22. მონაცემთა დაცვა

- 22.1. ჩვენ ვაკონტროლებთ მეთოდებსა და მიზნებს, რომელთაც თვისაც ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და თავად ვართ „ოპერატორი“ ასეთი მონაცემების დაცვის იმ კანონების მიზნების კონტექსტში, რომლებიც ჩვენზე ვრცელდება. ამ კანონებს შორისაა (თუმცა ამით არ შემოიფარგლება) ევროკავშირის ნორმატიული აქტი 2016/679 (მონაცემთა დაცვის საერთო რეგულმენტი ან GDPR).
- 22.2. თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენი კონფიდენციალურობის დებულების შესაბამისად. იხილეთ ჩვენი ვებსაიტი იმ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, რომლებსაც თქვენ შესახებ ვაგროვებთ, ასევე, იმის შესახებ, თუ როგორ ვიცავთ, როგორ და რატომ ვამუშავებთ, ვის ვუმჟღავნებთ მათ და მონაცემთა დაცვის რა უფლებები გაქვთ.
- 22.3. ჯავშნის გამფორმებლს საკონტაქტო მონაცემები და ყველმგზავრის შესახებ ჩვენთვის მითითებულ ინფორმაცია სწორი უნდა იყოს, ცვილების შემთხვევაში კი მონაცემები და უყვანებლვ უნდა განაახლოთ. ამის გაკეთება შეგიძლიათ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

23. ჩართულ ტრანსპორტირების წესები

- 23.1. ჩართულ რეისების შემთხვევაში, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების დებულებები იმოქმედებს ქვემოთ განმარტებულ განსხვავებებით:

23.2. ჩვენ მიერ განხორციელებულ ჩარტერულ ტრანსპორტირებაზე ვრცელდება შემდეგი პირობები:

23.2.1. ხელშეკრულების პირობები და თქვენი მგზავრობის გეგმაში მითითებულ სხვა განაცხადები, რომელთა შესახებაც გაუწყებთ ზეპირი ფორმით, ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით და ჯავშნის შემთხვევაში;

23.2.1.2.წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობები;

23.2.1.3.კონვენციის დებულებები;

23.2.1.4.მოქმედი კანონმდებლობა;

23.2.1.5.ჩარტერული შეთანხმება.

23.2.2. ტურისტული აგენტი, რომელიც ორგანიზებას უწევს თქვენს ჩარტერულ რეისს, ვალდებულია, გააცნოს ტრანსპორტირების პირობები. ტურისტული აგენტის მიერ არასათანადოდ მოწოდებულ ინფორმაციით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტურისტულ აგენტს.

23.2.3. თქვენი ჯავშანი ფორმდება ტურისტული აგენტის მიერ, რომელიც მოაწვდით ჯავშნის კოდს.

23.2.4. მარშრუტის შეცვლა ნებადართული არ არის. თქვენს ჯავშანში დროის შეცვლას, სხვა პირისთვის გადაცემისა და გაუქმების (მათ შორის, ოჯახის უშუალო წევრის გარდაცვალების გამო) წესები განისაზღვრება თქვენი ტურისტული სააგენტოს მიერ, ჩვენთან გაფორმებულ ჩარტერის ხელშეკრულების შესაბამისად.

23.2.5. თუ განსაკუთრებულ ბარგის ან პირობითი ტრანსპორტირების ნივთების გადატანა გასურთ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ თქვენს ტურისტულ აგენტს. თქვენი ტურისტული სააგენტოს პასუხისმგებლობაა, გადმოგიგზავნოს თქვენი მოთხოვნა (იხილეთ პუნქტი 15.5). თუ ტურისტული სააგენტო არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ჩვენთვის ინფორმაციის მოუწოდებლობით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ტურისტული სააგენტო.

- 23.2.6. ტრანსპორტირების წინამდებარე ზოგადი პირობების პუნქტი 9 (ადგილების მინიჭება) და პუნქტი 5 (ტარიფები) არ ვრცელდება ჩარტერულა და ყვანაზე.
- 23.2.7. საჩივრები და პრეტენზიები (მათ შორის, ბარგთან, განრიგის ცვლელბასთან, რეისის დაგვიანებასთან, გაუქმებასთან ან კურსის ცვლელბასთან დაკავშირებულ საჩივრები) უნდა წარედინოს თქვენს ტურისტულ აგენტს წერილობითი ფორმით. მოქმედებს პუნქტ 18-ში დროსთან დაკავშირებული ყველ შეზღუდვა.
- 23.2.8. ტურისტულ სააგენტოს, რომელიც ქიროზს თვითმფრინავს ჩარტერულ ტრანსპორტირებისთვის, ეკისრება ყველ ხარჯი, რომელიც გამწვეულია ჩვენგან დმოუკიდებელ მიზეზებით.
- 23.2.9. №261 ნორმატიული აქტით გათვალსწინებულ ავიამგზავრების უფლებების მიუხედავად, რეისებზე ზედმეტი ადგილების დაჯავშნით გამწვეული ყველ ხარჯი ეკისრება ტურისტულ სააგენტოს, რომელიც ქიროზს თვითმფრინავს ჩარტერულ ტრანსპორტირებისთვის.
- 23.2.10. თუ თქვენ მიიღებთ თანხის ანაზღაურების უფლებას, ჩვენ მას გადავუხდით ტურისტულ სააგენტოს, ხოლო შესაბამისი პრეტენზიით უნდა მიმართოთ ტურისტულ სააგენტოს წერილობითი ფორმით.

24. განცალგვალობა

თუამ წესებში შეთანხმების რომელიმე დებულბას ან დებულბის ნაწილს კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლო, ტრიბუნალი ან სხვა კომპეტენტური ორგანო მიიჩნევს უმოქმედოდ, უკანონოდ ან შეუსრულბლდ, ეს შეთანხმება ან შეთანხმების ნაწილი უნდა შეიცვალოს მინიმალურ საჭიროებამდე იმისთვის, რომ ის გახდეს მოქმედი, კანონიერი და შესრულბადი. თუ ასეთი ცვლელბის შეტანა შეუძლბელია, დებულბა ან დებულბის ნაწილი არ ჩაითვლბა ამ წესების ნაწილდ, მაგრამ ამ წესებში სხვა დებულბების მოქმედება და შესრულბადობა უცვლლდ და რჩება ძალში.

**ყოველწლიური ანგარიში
(Wizz Air-ის ზოგადი პირობები ტრანსპორტირებასთან
დაკავშირებით)**

ეს დანართი შეტანილია ჩვენს ტრანსპორტირების ზოგადპირობებში.

**1. ჩვენი პასუხისმგებლობა მგზავრებისა და მათი
ბარგის მიმართ**

ამ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციაში შეჯამებულია პასუხისმგებლობის წესები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ყველსამოქალაქო ავიაგადამყვანმა ევროკავშირის კანონმდებლობისა და მონრეალს 1999 წლის კონვენციის თანახმად.

**2. ანაზღაურება გარდაცვალების ან დაზიანების
შემთხვევაში**

მგზავრის დაზიანებასთან ან გარდაცვალებასთან დაკავშირებით არ გვაქვს ფინანსური შეზღუდვები. 128 821 SDR-მდე (დაახლოებით 160 000 ევრო¹) ოდენობის ზიანის შემთხვევაში, ჩვენ არ შეგვიძლია კომპენსაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე დავა. თუმცა ჩვენ შეგვიძლია გავასაჩივროთ მოთხოვნები 128 821 SDR-ზე მეტი კომპენსაციის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ დავამტკიცებთ, რომ არ ვიყავით გულრილ ან სხვაგვარად დამნაშავე.

3. წინასწარი გადახდები

თუ მგზავრი მოკლეს ან დაშავდა, ჩვენ წინასწარ უნდა ავუნაზღაუროთ ეკონომიკური საჭიროების გადაუდებელ ხარჯები პირს, რომელსაც ეკუთვნის კომპენსაცია. ეს გადახდა უნდა განვახორციელოთ კომპენსაციის მისაღებად უფლებამოსილი პირის იდენტიფიკაციიდან

¹ ევროში ყველ ეკვივალენტი ეფუძნება 2022 წლის 23 ნოემბრისთვის მოქმედ გაცვლოკურსს.

15 დღეში. გარდაცვალების შემთხვევაში ეს საავანსო გადახდა უნდა იყოს მინიმუმ 16 000 SDR (დაახლოებით 20 000 ევრო).

4. მგზავრის დაგვიანება

მგზავრის დაგვიანების შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებელ ვართ ზიანზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

- მივიღეთ ყველ საჭირო ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად;
- ჩვენთვის შეუძლებელი იყოს ასეთი ზომების მიღება.

ჩვენი პასუხისმგებლობა მგზავრის დაგვიანების შემთხვევაში შეზღუდულია და მოიცავს 5 346 SDR-მდე (დაახლოებით 6 700 ევრო) ოდენობას.

5. ბარგის დაგვიანება

ბარგის დაგვიანების შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებელ ვართ ზიანზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

- მივიღეთ ყველ საჭირო ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად;
- ჩვენთვის შეუძლებელი იყოს ასეთი ზომების მიღება.

ჩვენი პასუხისმგებლობა ბარგის დაგვიანების შემთხვევაში შეზღუდულია და მოიცავს 1 288 SDR-მდე (დაახლოებით 1 600 ევრო) ოდენობას.

6. ბარგის განადგურება, დაკარგვა ან დაზიანება

ბარგის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ჩვენი პასუხისმგებლობის ფარგლებში ვანაზღაურებთ მაქსიმუმ 1 288 SDR-ს (დაახლოებით 1 600 ევრო). რეგისტრირებულ ბარგის შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი მხრიდან ბრალს მიუხედავად, თუ ბარგი თვითონ არ იყო დეფექტიანი.

არა რეგისტრირებულ ბარგის შემთხვევაში პასუხისმგებლობას ვიდებთ მხოლოდ ჩვენი მხრიდან ბრალს შემთხვევაში.

7. უფრო მაღალი ლიმიტები ბარგისთვის

მონრეალს 1999 წლის კონვენციის თანახმად, ჩვენი პასუხისმგებლობა დაკარგულ დაზიანებულ ან დაგვიანებულ ბარგთან დაკავშირებით შეზღუდულია და არის 1 288 SDR-მდე (დაახლოებით 1 600 ევრო) ბარგის თითოეულ ერთეულზე.

მგზავრს შეუძლია ისარგებლოს ჩვენი მხრიდან დამატებითი პასუხისმგებლობით, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს სპეციალური დეკლარაცია არა უგვიანეს რეისზე რეგისტრაციის დასრულებამდე და გადაიხადოს დამატებითი მოსაკრებელი. ამ მოსაკრებელთ იმატებს ჩვენი პასუხისმგებლობა რეგისტრირებულ ბარგზე და მოიცავს მაქსიმუმ 2 224 SDR-ს (დაახლოებით 2 800 ევრო).

8. საჩივრები ბარგთან დაკავშირებით

თქვენი ბარგის დაზიანების, დაგვიანების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში უნდა მოგვწეროთ და შეავსოთ საჩივარი შემლუბის დაგვარად მაღ. რეგისტრირებულ ბარგის დაზიანების შემთხვევაში უნდა მოგვწეროთ და წარმოადგინოთ საჩივარი შვიდი (7) დღის განმავლობაში, დაგვიანების შემთხვევაში კი ოცდაერთი (21) დღის განმავლობაში. ეს პერიოდი ორივე შემთხვევაში გამოითვლება მგზავრის მიერ ბარგის ჩაბარების თარიღიდან.

9. ხელშემკვრელი და ფაქტობრივი გადამყვანების პასუხისმგებლობა

თუ საჰაერო გადამყვანის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულ ფრენა განსხვავდება ხელშემკვრელი საჰაერო გადამყვანის მიერ განხორციელებულსგან, უფლება გაქვთ, შეავსოთ საჩივარი ან მოთხოვნა რომელიმე გადამყვანის მიმართ. თუ საჰაერო გადამყვანის

სახელ ან კოდი მითითებულია ბილეთში, ეს საჰაერო გადაყვანი ხელშეკვერელ საჰაერო გადაყვანია.

10. შეზღუდული დროს არჩევის თვის

ნებისმიერი სარჩელ ზარალს ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს თვითმფრინავის ჩამოსვლს დღიდან ორი (2) წლს განმავლობაში ან იმ დღიდან, როდესაც თვითმფრინავი უნდა ჩამოსულიყო.

11. ინფორმაციის საფუძველ

ზემოთ მოცემულ წესები ეფუძნება მონრეალს 1999 წლს 28 მაისის კონვენციას, რომელც მოქმედებს საზოგადოებაში ნორმატიული აქტის EC №2027/97 მეშვეობით (ნორმატიული აქტის EC №889/2002 რედაქციით) და წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობის შესაბამისად.